ა(ა) იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის
სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობისა და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

ირინა ხარაძე

მოზარდთა დაცვა ძალადობისა და ბულინგისაგან

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
საჯარო მმართველობის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

მეცნიერ-ხელმძღვანელი: ბესიკ ბერიძე, სოციალურ მეცნიერებათა
აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ხიჭაური

2021

შინაარსი

შესავალი.....

თავი I ბავშვთა მიმართ ძალადობა და მისი დაცვის პროცედურები .....

1.1. სკოლაში ძალადობა და მისი პრევენცია .....
1.2. ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები და ხელსემწყობი ფაქტორები.....
1.3. ოჯახში ძალადობის ფორმები და მისი პრევენცია.....

თავი II ბულინგი

2.1. ბულინგის გამომწვევი ფაქტორები.....
2.3. ბულინგის სტატისტიკა საქართველოში.....
2.3. ბულინგის საფრთხეები და მიზანი.....

თავი III კიბერბულინგი.....

თავი IV სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩართულობა პრევენციაში.....

4.1. საქართველოს სახალხო დამცველის სამედიატრო ფუნქცია.....

დასკვნა.....

ბიბლიოგრაფია.....

შესავალი

ძალადობა - ძალის აშკარა ან ფარული გამოყენება ადამიანის ადამიანთა ჯგუფისაგან ისეთი რამის მისაღწევად, რაზეც ისინი თავისი ნებით არ თანხმდებიან. სინონიმებია : აგრესსია, სასტიკი მოპყრობა, შეურაცყოფა, იძულება, ხელყოფა, წამება, მუქარა. ძალადობა არის ყოველგვარი ქმედება ან სიტყვა, რომელსაც შეუძლია ადამიანის შეურაცხჰყოს, ზიანი მოუტანოს მას ან შეულახოს კანონით მინიჭებული უფლებები. ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება, შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება, და თავისუფლება. ესენი კი ადამიანის განუყოფელი უფლებებია.

არსებობს პირდაპირი და არაპიირდაპირი (ანუ სტრუქტურული) ძალადობა. პირდაპირი ძალადობა ნიშნავს ფიზიკურ ძალადობას, ფიზიკური ძალის ან ძალაუფლების წინასწარგამიზნულ გამოყენებას მიმართულს საკუთარი თავის, სხვა ადამიანის ან საზოგადოების წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც ადგილი აქვს (ან არსებობს ამის დიდი ალბათობა) სიკვდილს,სხეულის დაზიანებას, ფსიქოლოგიურ ტრამვას, ნორმალურ განვითარებიდან გადახრას ან სხვადასხვა სახის ზარალს. არაპირდაპირი ძალადობა კი ნიშნავს სიღატაკეს, ექსპლუატაციას, სოციალურ უსამართლობას, დემოკრატიის უქონლობას და ა. შ.

ძალადობა შედგება სამი კომპონენტისაგან: **მსხვერპლი, დამნაშავე** და **თვით ქმედება.** თავისი ხასიათისა და შედეგების გათვალისწინებით, იგი ხშირად მოიაზრება როგორც კრიმინალი. ძალადობა მოიცავს უკანონო ქმედებათა ყველა სახეს, გამოხატულს მუქარით ან ქმედებით, რომელსაც შედეგად მოოყვება ქონების დაზიანება ან განადგურება, ან და პიროვნების შეურაცხყოფა ან სიკვდილი. ძალადობის ყველაზე ფართოდ გამოხატული ფორმაა ძალადობა ოჯახში. ოჯახში ძალადობის ფორმებია: ფიზიკური ძალადობა (ცემა), სექსუალური ძალადობა, მუქარა, ემოციური ძალადობა (სისტემატური ყვირილი,

გინება), საზოგადოებისგან იზოლაცია, რაიმე ქმედების მუქარით აკრძალვა, დაშინება და ა.შ. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი შეიძლება იყოს ქალი, ბავშვი, ინვალიდი, მოხუცი და იშვიათად, მამაკაცი. ყველაზე გავრცელებული ფორმაა ქმრის ძალადობა ცოლძე და მშობლების - შვილებზე.

- **ფიზიკური ძალადობა:** ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

- **ფსიქოლოგიური ძალადობა:** შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს;

- **ეკონომიკური ძალადობა:** ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვაპირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების გაბხორციელების , აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებით შეზღუდვას;

- **სექსუალური ძალადობა:** სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ;

- **იძულება:** ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება, ან რომლისგან

თავის შეკავება, მისი უფლებაა, ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინაღმდეგო ზემოქმედება.

- **უგულებელყოფა:** მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საწიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურების სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა მაშინ როდესაც მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელიც მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.

თავი I

ბავშვთა მიმართ ძალადობა და მისი დაცვის პროცედურები

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში უკვე 20 წელია მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან და სხვა პარტნიორებთან იმისათვის, რომ საქართველოში მოგვარდეს ბავშვების წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი პრობლემები და დაცული იყოს ბავშვთა უფლებები.

ბავშვის დაცვა ყველანაირი ფორმის ძალადობისაგან ბავშვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა მინდა წარმოვადგინო გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული სამუშაო - კვლევა „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“. ეს

არის ორი დამოუკიდებელი, მაგრამ შინარსობრივად ურთიერთდაკავშირებული კვლევა, სადაც ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხები სხვადასხვა კუხით არის გაანალიზებული. კვლევაში მონაწილეობდა 3345 ადამიანი. **პირველ კვლევაში,** რომელსაც ეწოდება „ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში - ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ“, ყურადღება გამახვილებულია ამ საკითხის შესახებ საქართველოს ზრდასრულ მოსახლეობაში არსებული ცოდნის დონეზე; იმ დამოკიდებულებებზე, რომელიც საფუძვლად უდევს ბავშვის აღზრდის გავრცელებულ მეთოდებს და რომლებიც თავს იჩენს ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების გამოვლენისა და მასზე რეაგირების პრაქტიკაში. **მეორე კვლევაში -** ,, ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში - ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების ანალიზი და მთავრობისთვის შემუშავებული რეკომენდაციები“ - გაანალიზებულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურა, რომელიც 2010 წელს ჩამოყალიბდა. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის მხვრივ საგანგაშო მდგომარეობაა, რადგან საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი დასაშვებად მიიჩნევს ბავშვთა მიმართ ძალადობას. მოსახლეობის 60 % ფიქრობს, რომ ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდებისა. საზოგადოება უმეტესწილად მიიჩნევს, რომ ბავშვის მიმართ განხორციელებული ოჯახური ძალადობა ოჯახის შიდა საქმეა და ამ საქმეში ჩარევის წინააღმდეგია. იმ შემთხვევში კი, როცა მოქალაქე ჩარევას გადაწყვტს, მან ხშირად არც კი იცის, ვის ან როგორ მიმართოს. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალების დიდმა უმრავლესობამ (60%), რომელთაც კანონოით ევალებათ ძალადობის შემთხვევების გამოვლენა და მასზე რეაგირება, არ იცის ამ პასუხისმგებლობის შესახებ და ღრმად არიან დარწმუნებული, რომ ოჯახის საქმე ფაქიზი საკითხია და უმჯობესია ამაში არ ჩაერიონ.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ ბავშვის აღზრდის ძალადობრივი მეთოდები გამოუსწორებელ უარყოფით კვალს ტოვებს ბავშვზე და მოქმედებს მის

შემდგომ განვითარებაზე. ყველა მშობლისთვის საოცნებო წარმატებული, ხალისიანი, ჯამრთელი ბავშვების ნაცვლად ძალადობის შედეგად ყალიბდებიან განდგომილი, გულჩათხრობილი და ჯამრთელობაშელახული ახალგაზრდები, რომლებსაც უჭირთ ცხოვრებისეულ სირთულეებთან გამკვლავება და წარმატებასაც ძნელად აღწევენ. მასწავლებლების, აღმზრდელების, ფსიქოლოგების პოლიციელებისა თუ სოციალური მუშაკების მოვალეობაა დროულად ამოიცნონ ბავშვის მიმართ ძალადობის შემთხვევები და იმოქმედონ კანონის გათვალისწინებული წესების შესაბამისად, რათა დაიცვან ბავშვის ინტერესები. მხოლოდ სწორი მეთოდებით აღზრდა მისცემს ბავშვს საშუალებას, სრულიად გამოავლინოს თავისი პოტენციალი და გახდეს საქართველოს აქტიური მოქალაქე და მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის განვითარებაში. კვლევამ კიდევ ერთხელ აჩვენა რომ ძალადობისგან ბავშვების დაცვის სისტემა გამართვასა და სრულყოფას საჭიროებს; კვლევის შედეგად კარგად გამოჩნდა ამ სისიტემის ხარვეზები და დაისახა მათი გამოსწორების გზებიც. იმედს გამოვთქვამთ, რომ მალევე მოხდება ყოველივეს გათვალისწინება და ამ საქმეში, რა თქმა უნდა, აქტიური პარტნიორი და მხარდამჭერი იქნება გაეროს ბავშვთა ფონდი. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რაოდენ მნიშვნელოვანია ძალადობის მიმართ რიგითი მოქალაქეების დამოკიდებულებაც. ადამიანებს უნდა ესმოდეთ, რომ მათი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობაა არ შეაქციოს ზურგი ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს სამეზობლოში, სანათესაოსა თუ ქუჩაში. საქართველოში ბავშვებს უჭირთ საკუთარი უფლებების დაცვა და მათ სჭირდებათ გვერდში მდგომი, პასუხისმგებლობით განმსჭვალული ზრდასრული პიროვნება, რომელიც თავს მოვალედ ჩათვლის, დაიცვას ბავშვის უფლებები. და ბოლოს, დიდი იმედი გავაქვს, რომ კვლევა ბევრისათვის იქნება საინტერესო და საყურადღებო.

ტერმინების განმარტება: ბავშვი- 18 წლამდე პირი. ბავშვის მიმართ ძალადობის საფუძვლიანი ეჭვი-

ა) ბავშვის სხეულზე არსებული დაზიანებული ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება დამატებითი ფაქტორი: ბავშვი აცხადებს, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

ბ) ბავშვის სხეულზე არსებული დაზიანებების გამო ჩატარებული გამოკითხვის შდეგად იკვეთება დამატებითი ფაქტორები; მოწმე აცხადებს, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს.

გ) ბავშვის სხეულზე ჩატარებული დაზიანებების გამო ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება დამატებითი ფაქტორი: მშობელი იქცევა არაადეკვატურად, ანუ ბავშვის ტრამვის სიმძიმე არ შეესაბამება ტრამვის მიღების შესახებ მშობლის მონათხრობს; მშობლის მონათხრობის დეტალები მუდმივად იცვლება; მშობელი არაადეკვატურად რეაგირებს ბავშვის ტრამვაზე- ტრამვას აფასებს უფრო მსუბუქად, ვიდრე არის; არ ხდება ტრამვის მიზეზის ახსნა;

დ) ბავშვის საეჭვო ქცევის გამო ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება დამატებითი ფაქტორი: ბავშვი აცხადებს, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა;

ე) ბავშვი საეჭვო ქცევის გამო ჩატარებული გამოკითხვის შედეგად იკვეთება დამატებითი ფაქტორი: მოწმე აცხადებს, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;

ვ) მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტორს (ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირიების) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ).

ბავშვის მიტოვება - მშობლ(ებ)ის მიერ ბავშვის მიტოვება, ან მიტოვების შესახებ განცხადების გაკეთება, ან მშობლის უფლებებისა და მოვალეობების შესრულებისაგან თავის არიდება (საქართველოს კანონი შვილად აყვანისა და მინდობის აღზრდის შესახებ) . ბავშვის ოჯახის წევრი - ბავშვის დედა, მამა, ბაბუა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), დედინაცვალი/მამინაცვალი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სიძე, რძალი,

მული, მაზლი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მათი ოჯახების წევრები, შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), მშვილებელი, მშვილებლის მეუღლე, ნაშვილები, მეურვე/მზრუნველი (ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ). **ბავშვთა პორნოგრაფია** - ნებისმიერი ვიზუალური და აუდიო მასალა, რომელსიც წარმოდგენილია არასრულწლოვანის მონაწილეობა ნამდვილ, შექმნილ ან კომპიუტერის მეშვეობით სიმულირებულ სექსუალურ სცენაში, როდესაც მომხმარებლის სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით ნაჩვენებია არასრულწლოვნის გენიტალიური ორგანოები (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლი255). **ბავშვის უგულებელყოფა** - მშობელთა ან მზრუნველ პირთა მიერ ბავშვის ფიზიკური ან ემოციური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, შესაბამისი შესაძლებლობების, ცოდნის და მომსახურების წვდომის არსებობის მიუხედავად (გაეროს ანგარიში მსოფლიოში ბავშვებზე ძალადობის შესახებ). **გადაუდებელი შემთხვევა** - მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის ბავშვის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ან შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი ან ინვალიდობა (ერთობლივი ბრძანება ბვშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ). **დამცავი ორდერი** - დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის მოსამართლის მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს სისხლის სამართლებრივი დევნის აღძვრის საფუძველი და პირს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა (საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობის აღკვეთის , ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ). **იძულება**- ბავშვის ფსიქიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ შეასრულოს ან არ შასრულოს გარკვეული ქმედება (ერთობლივი ბრძანება ბავშვთა მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ. **მკაცრი აღზრდა** -

დასჯის გამოყენებით აღზრდის მკაცრი სტილი, როდესაც მშობლები აიძულებენ ბავშვს შეასრულოს ბრძანებები მათი შრომისა და ძალისხმევის პატივისცემის ნიშნად. **მოძალადე** - ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ, ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრების მიმართ (საქართველოს ოჯახში ძლადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის და დახმარების შესახებ) . **მსხვერპლი** - პირი, რომელმაც ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობა განიცადა. **ოჯახური კონფლიქტი** - ნებისმიერი კონფლიქტი, რომელიც ხდება ოჯახში ცოლსა და ქმარს, მშობლებსა და შვილებს შორის, დებსა და ძმებს შორის ან გაფართოებული ოჯახის სხვა წევრებთან (ბებიებთან, ბაბუებთან, დეიდებთან, ბიძიებთან, და ა.შ.). **სექსუალური ძალადობა** - ბავშვთან სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით; **სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება** - ან გარყვნილი ქმედება ბავშვის მონაწილეობით (ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ). **სიტყვიერი დამცირება** -ბავშვის განზრახ დამცირება, უხამსი გამოთქმების გამოყენებით (გინება). **ფიზიკური სასჯელი** - ნებისმიერი სასჯელი, რომელიც ფიზიკური ძალის გამოყენებით ხორციელდება და მიზნად ისახავს გარკვეული ტკივილის მიყენებას ან დისკომფორტის შექმნას. **ფიზიკური ძალადობა** - ცემა, წამება, ჯამრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; **ჯამრთელობის და განვითარების მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა,** რაც იწვევს ბავშვის ჯამრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს (ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის პროცედურების დამტკიცებისშესახებ). **ფსიქოლოგიური ძალადობა** - შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას და რომელმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშის ჯამრთელობას და სიცოცხლეს (ერთობლივი ბრძანება

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ). **შემაკავებელი ორდერი-** შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანაშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის ამ შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში დასატკიცებლად წარედგინება სასამართლოს(საქართველოს კანონი ოჯახში ძალადობს აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მხსვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ). **ცემა** - ცემა ან სხვა სახის ძალადობა, რომელმაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ გამოუწვევია ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 125). **ძალადობა -** ბავშვის კონსტიტუციური უფლებების და თავისუფლებების დარღვევა ფიზიკური, ფსიქოლოგიური სექსუალური ან ეკონომიკური ძალადობის ან ზეწოლის გზით (ერთობლივი ბრძანება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემის პროცედურების დამტკიცების შესახებ). **წამება** -პირისათვის მისი ახლო ნათესავის ან მასზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებული პირისათვის ისეთი პირობების შექმნა ან ისეთი მოპყრობა, რომელიც თავისი ხასიათით, ინტენსივობით ან ხანგრძლივობით იწვევს ძლიერ ფიზიკურ ტკივილს ან ფსიქიკურ, ან მოლარულ ტანჯვას და რომლის მიზანია ინფორმაციის მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება, ან იძულება, ან და პირის დასჯა ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისათვის. **წყევლა** - მოწოდება ან ლოცვა, რომ ვიღაცას ან რაღაცას სიავე ან უბედურება დაატყდეს თავს.

გარკვევით უნდა აიკრძალოს ბავშვების მიმართ ძალადობის ყველა ფორმა. ასევე უნდა აიკრძალოს ძალადობის გამოყენება და ფიზიკური დასჯა, როგორც დისციპლინური მეთოდები, ყველანაირ გარემოში, ოჯახების ჩათვლით. როგორც წარმოდგენილმა კვლევამ აჩვენა ეს უკანასკნელი საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემაა.

კანონმდებლობაში უნდა განისაზღვროს ბავშვების მიმართ ძალადობის ყველა ფორმა, რათა არსებობდეს საკანონდებლო ბაზა იმ მოსაზრების გასამყარებლად, რომ თანაბრად მიუღებელია ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმა. კერძოდ, ყველა შესაბამის კანონსა და ნორმატიულ აქტში უნდა იყოს განსაზღვრული, რა არის ბავშვის უგულებელყოფა. საკანონმდებლო ცვლილებები უნდა შევიდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექში, რათა აიკრძალოს ფიზიკური ძალადობის (ფიზიკური დასჯა) გამოყენება ოჯახში. უნდა შეიცვალოს კანონმდებლობა, რათა გაირკვეს ბავშვებთან ყველა პროფესიონალის (განსაკუთრებით, ვინც არის ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემის მთავარი მონაწილეები) ვალდებულება ინფორმაციის მიწოდებასთან/მიმართვიანობასთან დაკავშირებით; ასევე საჭიროა იძულების მექანიზმებისა და ჯარიმების შემოღება ძალადობის შემთხვევების შესახებ არშეტყობინების დროს. ყველა შესაბამისმა სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს, რომ საკუთარ სამუშაო აღწერილობაში, სამუშაოსთან დაკავშირებულ პროცედურებსა და ყველა პროფესინალისთვის განკუთვნილ მითითებებში.

კვლევამ აჩვენა რომ ფართო საზოგადოებას კარგად არ ესმის, რას წარმოადგენს ძალადობა ბავშვების მიმართ. ყველაზე ნაკლებად გასაგებია ფსიქოლოგიური ძალადობა. არსებობს გავრცელებული წარმოდგენა, რომ ინფორმაციის მიწოდება ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ არის საოჯახო საქმეში ჩარევა, კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ საზოგადოება საკმაოდ დაბალ დონეზეა გათვიცნობიერებული ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტებზე რეაგირების მექანიზმებში. ანალიზმა აჩვენა, რომ ცოდნა იმისა, თუ რა უნდა გაკეთდეს ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის იდენტიფიკაციის შემთხვევაში, ზრდის შემთხვევის შესახებ ბავშვთა დაცვის შესაბამისი სახელმწიფო სამსახურებისთვის ინფორმაციის მიწოდების ალბათობას. აღნიშნული შედეგების საფუძველზე მთავრობამ და სხვა სახელმწიფო პარტნიორებმა კოორდინირებულად უნდა განახორციელონ ინვესტირება საზოგადოების ინფორმირების მიმართულებით, რაც გააძლიერებს ძალისხმევას ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით და გაზრდის

ბავშვთა მიმართ ძალადობის ან ძალადობის ეჭვის მიწოდების შემთხვევებს ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების შესაბამისად. ინფორმირების გასაზრდელად სახელმწიფო კამპანია გამიზნული უნდა იყოს საქართველოს მთელ მოსახლეობაზე. ასეთი კამპანია უნდა აერთიანებდეს ეროვნულ და რეგიონულ მედია-საშუალებებს და შეიცავდეს გზავნილებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: **ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში:** ბავშვების მიმართ ძალადობას აქვს მოკლე - და გრძელვადიანი უარყოფითი შედეგები როგორც თვითონ ბავშვებისათვის, ისე მათი უშუალო გარემოსა (ოჯახი,თემი) და საზოგადოებისთვის. განმარტებული უნდა იყოს ძალადობის ყველა ფორმა და განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქოლოგიურ ძალადობას და ბავშვების უგულებელყოფას. მიუღებელია ბავშვების მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმა. ფიზიკური დასჯა არის ძალადობის ფორმა, რომელსაც აქვს უარყოფითი გავლენა. იმ მოსაზრების დამკვიდრება, რომ ბავშვი არის 18-წლამდე ასაკის პირი და ამ ასაკის ნებისმიერი პირის მიმართ ძალადობის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდებოდეს შესაბამის ორგანოებს, რასაც უნდა მოჰყვეს შესაბამისი რეაგირება. მთელ მოსახლეობაზე გათვლილი კამპანია უნდა შეეხოს დამატებით საკითხებსაც, რათა აღმოიფხვრას ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ბარიერები და შეიცვალოს საზოგადოების ქცევა: საზოგადოების ინფორმირება ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემის არსებობის, მისი რესურსების და მახასიათებლების რეფერირების სისტემის თითოეული მონაწილის კონკრეტული როლის შესახებ (პოლიცია, სოციალური მუშაკები, სკოლა, ბავშვებზე ზრუნვის სამსახურები, სამედიცინო პერსონალი და ა.შ.). საზოგადოების ინფორმირება მოქალაქეების პასუხისმგებლობის შესახებ, რომ ბავშვების მიმართ გამოვლენილი ძალადობის შესახებ შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს, ასევე საზოგადოებას გააცნონ, თუ როგორ ხდება ამ ტიპის ინფორმაციის მიწოდება. საზოგადოების ინფორმირება, თუ როგორ შეუძლია ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემას რეაგირება მიწოდებული ინფორმაციაზე ყურადღება განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს, იმაზე რომ აუცილებელი არ არის ინფორმაციის წარდგენას მოჰყვეს

ოჯახის გაყოფა და ბავშვის გამოყვანა ოჯახიდან. ფართო საზოგადოების ინფორმირება სკოლების, ბავშვებზე ზრუნვის სამსახურებისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს როლის შესახებ ბავშვების წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობის ფაქტების იდენტიფიკაციასა და შემდგომი ღონისძიებების განხორციელებაში. რამდენადაც შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ამჟამად არის წამყვანი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხებზე, რეკომენდებულია, რომ სამინისტრომ უხელმძღვანელოს სახელმწიფო და არასახელმწიფო რესურსების მობილიძაციას (ფინანსური, ორგანიზაციული, ადამიანური) საზოგადოების ინფორმირების სრულყოფილი კამპანიის განხორციელების მიზნით. შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს და სხვა შესაბამისი მხარეების მონაწილეობა გადამწყვეტია ამ ინიციატივის წარმატებისათვის. აღზრდის მიზნობრივი, პოზიტიური პროგრამები კვლევის თანახმად, საქართველოს საზოგადოების 45% ფიქრობს, რომ ფიზიკური ძალადობის გამოყენება ბავშვების მიმართ მისაღებია, ხოლო რესპონდენტთა 60% (როგორც ქალი, ისე მამაკაცი) მიიჩნევს, რომ მკაცრი აღზრდა გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე აღზრდის არაძალადობრივი მეთოდები. კონკრეტული რეკომენდაციები მთავრობისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დონორებისთვის. მშობლებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია ბავშვთა მიმართ ძალადობის პრობლემისა და გავლენის შესახებ, ასევე, ოჯახსა და საზოგადოებაში ბავშვების ძალადობისაგან დაცვის გზებისა და პოტენციური ძალადობისა თუ უკვე განხორციელებული ძალადობის ნიშნების გამოცნობის შესახებ. კონკრეტული პროგრამების და კამპანიების განხორციელება, რომ მშობლებმა გამოიყენონ არაძალადობრივი დისციპლინური ალტერნატიული მეთოდების დანერგვას. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ . აღზრდის მეთოდების შესახებ საინფორმაციო კამპანიის მაქსიმალურად გავრცელებისათვის ერთ-ერთი სამიზნე უნდა იყოს სამშობიაროები, რათა ახალბედა დედებმა მიიღონ

ინფორმაცია ბავშვის აღზრდის პოზიტიური მეთოდების შესახებ და იმის თაობაზე, თუ რა ზიანის მოტანა შეუძლია ბავშვისთვის ძალადობას. ამასთან, მშობელთა ინფორმირების გასაზრდელი რეგულარული კამპანიები შეიძლება დაუკავშირდეს ვაქცინაციის გრაფიკს ან სხვა რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას. უნდა გადაიხედოს სასკოლო-სასწავლო პროგრამა, რათა ძალადობის შესახებ ინფორმაციის (მოზარდებზე ძალადობის გავლენის, არაძალადობრივი აღზრდის საჭიროების და ბავშვის დაცვის რეფერირების აღზრდის შესახებ) გადმოცემა მოხდება ბავშვებისთვის გასაგები ენითა და ფორმით. ამასთან, სკოლები უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც სათავე, საიდანაც გავრცელდება ინფორმაცის აღზრდის დადებითი მეთოდების შესახებ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წამყვანი როლი უნდა შეასრულოს ბავშვებისა და სკოლის პერსონალისთვის პროგრამის შემუშავებასა და ინსტიტუციონალიზაციაში, ასევე მშობლებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო ბროშურების შემუშავებაში, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია ძალადობის ფორმების, განსაკუთრებით- ფიზიკური დასჯის, შესახებ; მისი უარყოფითი ზამოქმედება ბავშვებზე და მთლიანად საზოგადოებაზე; პოზიტიური აღზრდის მეთოდები; ბაშვების მიმართ ძალადობის, შესახებ ინფორმაციის მიწოდების და რეაგირების სამართლებრივი ასპექტები.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეთნიკური უმცირესობის ოჯახებს, რათა მათაც მიუწვდებოდეთ ხელი სათანადო ინფორმაციაზე აღზრდის დადებითი მეთოდების შესახებ, ამასთან ინფორმაცია შესაბამისი უნდა იყოს კულტურული თვალსაზრისითაც. განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო, რომ ეთნიკური უმცირესობებისთვის ინფორმაციის მისაწოდებლად გათვალისწინებული იყოს ენობრივი ბარიერები და კულტურული ფაქტორები, რაც ხელს შეუწყობს საჭირო გზავნილების განხორციელებას. ბავშვების შესაძლებლობების განვითარება ბავშვების უსაფრთხოების უზრუნველყოფა დამოკიდებულია ზრდასრული ადამიანის მიერ ბავშვების მიმართ განხორციელებიული ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის მიმწოდებელი იყოს მშობელი ან

სხვა ზრდასრული ადამიანი; თუმცა, საჭიროა ბავშვების შესაძლებლობების განვითარება, რომ მათ შეძლონ საკუთარი უფლებების დარღვევის გამოცნობა. მოზარდებს ასევე უნდა შეეძლოთ სავარაუდო ან რეალური ძალადობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურად მიწოდება. ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით მზარდ როლთან დაკავშირებული რეკომენდაციები მოიცავს შემდეგს:

- ✓ ბავშვებისთვის განკუთვნილი საინფორმაციო კამპანია უნდა მოიცავდეს ბავშვების გაძლიერებას ინფორმაციის მიწოდების საქმეში;
- ✓ საჭიროა კონსულტაცია ბავშვებთან კამპანიის დაგეგმვის პროცესში, რომელიც განკუთვნილია მშობლებისა და ფართო საზოგადოებისთვის. უფროსი ასაკის ბავშვები მოზარდები ჩართული უნდა იყვნენ ინფორმაციის მიწოდებისას წარმოქმნილი ბარიერების შესახებ დისკუსიებში და იმ სტრატეგიების იდენტიფიკციის პროცესში, რომლებიც ხელს უწყობს ბავშვებს და მოზარდებს ინფორმაციის და დახმარების მიღებაში.
- ✓ სკოლების ფართო მასშტაბიანი ძალისხმევა უნდა იყოს დასაბამი ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცების შესასრულებლად. სამოქალაქო განათლების პროგრამები საშუალო სკოლის დონეზე უნდა აერთიანებდეს ბავშვებზე ძალადობის და მათი ინტერესების უგულებელყოფის საკითხებს, მათ შორის ძალადობის განმარტებას, ძალადობის ნიშნების იდენტიფიკაციას, ასეთი შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და პრობლემების მოგვარებას. ამ მიმართულებით მუშაობის წარმართვისათვის საუკეთესო პირობები აქვს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. ბავშვების შესაძლებლობების განვითარების კამპანია დაკავშირებული უნდა იყოს მოსდახლეობის გათვითცნობიერების გასაზრდელ ღონისძიებებთან, რომელიც ახორციელებს შრომის, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სამინისტრო და რომელიც მორგებული უნდა იყოს ბავშვის ცოდნის დონეზე და მის, როგორც ინფორმაციის მიმწოდებლის, როლზე. ბავშვთა მიმართ ძალადობა

საქართველოში 40 პროფესიონალების შესაძლებლობების განვითარება ბავშვთა დაცვის არსებული რეფერირების სისტემა საჭიროებს გაძლიერებას, რათა საზოგადოება ენდობოდეს ბავშვთა დაცვის რეფერირების სისტემის პროფესიონალებს, თავად ამ პროფესიონალებს კი შეეძლოთ ბავშვთა მიმართ სავარაუდო ან იდენტიფიცირებული ძალადობის ფაქტებზე რეაგირება. კვლევის შედეგები უჩვენებს, რომ ინფორმაციის მიწოდების ალბათობა გაიზარდა, თუ საზოგადოებას ექნება მეტი ნდობა ბაშვთა დაცვის რეფერირების სისტემის პროფესიონალების რეაგირების მიმართ. შესაძლებელია ინვესტიციების ჩადება, რომ შესაბამისმა პროფესიონალებმა ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით მიიღონ ხარისხიანი განათლება.

ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შესახებ. კვლევის მეთოდოლოგია ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხების შესახებ ფართო საზოგადოების ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტიკის შემსწავლელი რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა 2012 წლის ზაფხულში. პარტნიორად შეირჩა კვლევითი ორგანიზაცია ,,ACT Research" ,რომელმაც განახორციელა მოსამზადებელი და საველე სამუშაოები და წარმოადგინა სანდო და შეწონილი მონაცემები. კითხვარი შეადგინა UNICEF-საქართველომ ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ სხვადასხვა კვლევაში გამოყენებული საშუალებების საფუძველზე. კვლევის სამიზნე სეგმენტი იყო საქართველოს 18 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა. კვლევისთვის შერჩევა მოხდა ორეტაპიანი კლასტერული შერჩევით, წინასწარი სტრატიგიკაციისთ, რეგიონის, ეთნიკურობისა და დასახლების ტიპის მიხედვით. შერჩევაში გამოყენებული იყო ორ ეტაპიანი კლასტერიზაცია. პირველადი შერჩევის ერთეული (PSU) იყო საყოველთაო აღწერის ერთეული, ხოლო მეორადი შერჩევის ერთეული (SSU) – ოჯახში . პირველადი შერჩევის ყოველ ერთეულში გამოიკითხა ათი რესპონდენტი, მეორადი შერჩევის ყოველ ერთეულში კი - ეთი რესპონდენტი.

ოჯახების შერჩევა მოხდა შემთხვევითობის პრინციპით. ოჯახიდან რესპონდენტი შეირჩა იმის მიხედვით, ვისაც ბოლოს ჰქონდა დაბადების დღე. შერჩევაც და საველე სამუშაოები ორ ეტაპად განხორციელდა. პირველ ეთაპზე ქვეყნის მოსახლეობა წარმოდეგენილი იყო 2950 რესპონდენტით, რომელიც სტრატიფიცირებულ იქნა რეგიონები და ქალაქის/ სოფლის/ დედაქალაქის მიხედვით. შეირჩა 295 კლასტერი და თითოეულში ჩატარდა საშუალოდ 10-10 ინტერვიუ. საწყისი შერჩევა მოიცავდა შემდეგ ეთნიკურ კვოტას. ეთნიკური კუთვნილება რაოდენობა ქართველი 2500 სომეხი 280 აზერბაიჯანი 280 სხვა 140 პირველი ეტაპის შემდეგ რესპონდენტთა რაოდენობის დათვლა მოხდა ეთნიკური წარმომავლობის შესაბამისად: ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და სხვა. მეორე ეტაპზე მოხდა დამატებითი შერჩევა, თითოეულ ეთნიკურ ოჯახში რესპონდენტთა ნაკლებობის გათვალისწინებით. მეორე ეტაპზე ინტერვიუების ნაწილი ჩატარდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონში, სადაც კლასტერები შემთხვევითობის პრინციპით შეირჩა და რესპონდენტები კლასტერებიდან შერჩეულები იყვნენ ეთნიკური წარმომადგენლობის მიხედვით. რეგიონებში, სადაც ეთნიკური უმცირესობები არ არიან მჭიდროდ დასახლებული, ინტერვიუები ჩატარდა ე.წ.,თოვლის გუნდის“ მეთოდის გამოყენებით. აღნიშნულ ორი ეტაპის გარდა, მონაცემთა ნაკრები მოიცავს ინტერვიუებს ფოკუს - ჯგუფების მონაწილეებთან. ამ ჯგუფისთვის გამოყენებული კითხვარი საველე კითხვარის იდენტურია. ეს ჯგუფი სტრატიფიცირებულია და შეწონილია, ისევე როგორც ზოგადი შერჩევამ თუმცა გამოტოვებულია კლასტერის ცვლადი. ნიმუშის წონის გამოთვლა მოხდა რეგიონის, სქესის და ეთნიკური წარმომავლობის მიხედვით. მთლიანად შეივსო 3345 კითხვარი: 3284 შეავსეს ფართო საზოგადოების წარმომადგენლებმა და 61 - ფოკუს- ჯგუფების მონაწილეებმა (სოციალური მუშაკები, მასწავლებლები და მანდატურები - ვინც კვლევაში პროფესიონალებად მოიხსენიება). კვლევის დოკუმენტები და მომზადება საველე სამუშაოებისთვის კვლევის მოსამზადებელ ეტაპზე შემუშავდა შემდეგი დოკუმენტები: ტრენინგის

სახელმძღვანელო, ინსტრუქციები საველე პერსონალისთვის, ინსტრუქციები კითხვარის შესავსებად, კითხვარები (ქართულ, რუსულ, სომხურ, და აზერბაიჯანულ ენებზე) და საჩვენებელი ბარათები 4 ენაზე. თითოეული ეს დოკუმენტი წინასწარ იყო შეთანხმებული UNICEF საქართველოსთან. საველე პერსონალის შერევა და ტრენინგი თითოეული ინტერვიუერი მონაწილეობდა ორი ტიპის ტრენინგში. მკვლევარებმა, საველე სამუშაოების დეპარტამენტებმა და ტრენერებმა შეიმუშავეს ACT- ის საერთო ტრენინგის მოდული, რომელიც მოიცავს შემდეგ საკითხებს: ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებისა და პრაქტილის შესახებ : ზოგადი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს; ინტერვიუს ტექნიკას; სხვადასხვა მოწყვლად სეგმენტთა და სენსიტიურ საკითხებზე მუშაობის მეთოდებს; კვლევის ძირითად ტექნიკას და მეთოდს.საერთო ტრენნიგის დასრულების შემდეგ საველე სამუშაო პროცესში მონაწილე ყველა ინტერვიუერს გადაეცა საველე სამუშაოებისთვის საგანგებოდ შემუშავებული ტრენინგის სახელმძღვანელო. ინტერვიუერებისთვის განკთვნილი ტრენინგიჩაატარეს პროექტისა და საველე მენეჯერებმა, ამ კვლევის საველე სამუშაოებისთვის შექმნილი ტრენინგის სახელმძღვანელოს გამოყენებით. ტრენინგის პროცესი ძირითადად ფოკუსირებული იყო შემდეგ საკითხზე: კვლევის საგანი; კვლევის ინსტრუმენტი;შერჩევა; კითხვარები და საჩვენებელი ბარტები; დეტალური ინსტრუქციები, რომელთა მიხედვითაც რესპონდენტები გაერკვევიან, რა მნიშვნელობა აქვს კვლევაში მათ მონაწილეობას და როგორ არის დაცული კონფიდენციალურობა. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუერების გუნდის შედგებოდა ქართველი, რუსული, აზერბაიჯანელი და სომეხი ინტერვიუერებისგან. ტრენინგებს ასევე ესწრებოდნენ კითხვარის კოდირებისა და რევიზიის სპეციალისტები და კონტროლის ჯგუფის წევრები. ინტერვიუერების ტრენინგი მიმდინარეობდა 2 დღე - 2012 წლის 6 და 9 ივლისს. ტრენინგის პირველი დღე დაეთმო რეგიონულ ხელმძღვანელებს, ხოლო მეორე - თბილისელ ინტერვიუერებს; რეგიონულმა ზედამხედველებმა ტრენინგი ჩაატარეს საკუთარ

რეგიონებში ACT -ის სათაო ოფისში ჩატარებული საერთო ტრენინგის მომდევნო დღეს. კონტროლის სპეციალისტები თითოეულ რეგიონში პასუხისმგებელი იყვნენ თითოეული შევსებული კითხვარის ხარისხის შემოწმებაზე და თუ გამოავლენდნენ შეუსაბამობას, კითხვარი შესასწორებლად უკან უნდა გადაეცათ ინტერვიუერისთვის. მათი ფუნქცია იყო კითხვარების შემოწმება სპეციალურად შემდეგ ინტერვიუერს ჰქონდა საველე სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო დოკუმენტები განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად. კერძოდ: ა) გამოტოვებული ან არასრული ნაწილების იდენტიფიკაცია. ბ) შევსებული კითხვარების სიზუსტის სემოწმება და შეცდომების იდენტიფიკაცია. აღნიშნული პროცედურის შესაბამისად, საველე სამუშაოების მიმდინარეობისას პირველადი კონტროლის სპეციალისტებს უნდა შეემოწმებიათ, ასრულებდნენ თუ არა ინტერვიუერები კითხვარის შევსების წესების მითითების შესაბამისად.

(1) **ძალადობის პრევენცია** - ძალადობა წარმოადგენს სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე მდგარ ურთულეს სოციალურ და სამართლებრივ პრობლემას. ძალადობა აფერხებს ცალკეული ინდივიდისა და მთლიანად საზოგადოების განვითარებას, ამასთან, იგი წინააღმდეგობაში მოდის ადამიანის უფლებების დაცვისა და სახელმწიფოს ძალის მონოპოლიის პრინციპთან. შედეგად, ძალადობა მძიმედ აისახება ინდივიდთა პიროვნულ და პროფესიულ პერსპექტივებზე, ასევე, ქვეყანაში არსებულ ზოგად კრიმინოგენულ მდგომარეობასა და სახელმწიფოში ინდივიდის დაცულობის ხარისხზე. ძალადობას გააჩნია თავისი ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტები, გამომწვევი/ხელშემწყობი ფაქტორები, რომელიც სხვადასხვა ქვეყანასა და საზოგადოებაში მსგავსად ვლინდება. ამავე დროს, სხვადასხვა ქვეყანაში პრობლემა განსხვავებულ სახეს და მასშტაბს ღებულობს საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებიდან და განვითარების პროცესებიდან გამომდინარე. საქართველოს ისტორიის ბოლო ორი ათწლეული ურთულესი საშინაო და საგარეო გამოწვევებით აღინიშნა. კონფლიქტებმა და სოციალურმა სიდუღჭირემ

ხელი შეუწყო კრიმინალისა და ძალადობის მატებას. ამ ზოგადმა პროცესებმა განაპირობა საზოგადოებაში მორალური წარმოდგენების და ღირებულების რელატივირება. იკლო ურთიერთნდობამ, ემპათიის და სხვისი ინდივიდუალიზმის პატივისცემის უნარმა. ამის საპირისპიროდ, საზოგადოება მრავალი ძალადობრივი თანაცხოვრების კულტურის ჩამოყალიბებისთვის. დამოუკიდებელი საქართველოს ჩამოყალიბების ეთაპზე სახელმწიფო ინსტიტუტები იმდენად კორუმპირებული და სუსტი იყო, რომ წესრიგის უზრუნველყოფის საქმეში კრიმინალური ,,ავტორიტეტები" გადამწყვეტ როლს თამაშობდნენ. სახელმწიფომ, 2003 წლის შემდეგ, მართვის სადავეები ხელში აიღო, რაც მოგვიანებით ე.წ. ,,ნულოვანი ტოლერანტობის" პოლიტიკის გატარებაში გამოვლინდა. ეს უკანასკნელი ხშირად კანონის უზენაესობისა და სამართლიანობის ფარგლებს სცილდებოდა და ადამიანის პატივისა და ღირსების შემლახველ ქმედებაში აისახებოდა. სახელმწიფო თავად გადაიქცა მოძალადედ და შედეგად ჩამოყალიბდა ძალმომრეობაზე დამყარებული პოლიციური სახელმწიფო სისტემა. 2012 წლიდან, ხელისუფლებამ სახელმწიფოებრივი მიდგომა შეცვალა. კრიმინალის შემცირება არ ხდება უკანონობის, ძირითადად უფლებების არათანაზომიერი შეზღუდვის ხარჯზე. საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის პოლიტიკა პირველ რიგში მიმართულია არა რეპრესირებაზე, არამედ პრევენციაზე. ცხადია, რომ მხოლოდ პოლიციური რესურსით ძალადობასთან და კრიმინალთან ბრძოლა საკმარის ძალისხმევას არ წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ძალადობის გამომწვევი/ ხელშემწყობი ფაქტორების ანალიზი, მის შემცირებაზე ყურადღების გამახვილება, საზოგადოებრივი აზრის გაჯანსაღებაზე ზრუნვა და შესაბამისი სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბება. ოჯახში ძალადობის, მკვლელობების, ფიზიკური ანგარიშსწორების, ჰომოფობიის თუ აგრესიის სხვა გამოხატულებები უარყოფითად ისახება საზოგადოების ნორმალურ განვითარებაზე, მისი წევრების მშვიდობიან თანაცხოვრებასა და, შესაბამისად, დემოკრატიულ ღირებულებებზე

დაფუძნებულ წესრიგზე. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საჭიროა სახელმწიფოს ერთიანი კოორდინირებული მიდგომის შემუშავება ძალადობის გრძელვადიანი პრევენციის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი რესურსის კონსოლიდაციის გზით. აუცილებელია ძალადობის პრევენციის არსებული მექანიზმების შეფასება, მათი ეფექტიანობის გაზრდა და ახალი მექანიზმების დანერგვა. მოცემული დოკუმენტი - ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია (შემდგომში სტრატეგია) წარმოადგენს სახელმწიფოს მზაობას - უპასუხოს გამოწვევებს, რომლებიც დღევანდელ საზოგადოებაში არსებობს. იგი ასახავს სამომავლო ხედვას, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ძალადობის პრევენციის სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ინსტიტუტების თანამონაწილეობით. სტრატეგია სისტემაში აქცევს იმ ძირითად მიმართულებებს, რომელიც მიზნის მისაღწევად იქნება განსაზღვრული და ექვემდებარება შემდგომ დაკონკრეტებას სამოქმედო გეგმის მეშვეობით. სტრატეგია ეფუძნება ადამიანის უფლებების უზენაესობის პრინციპს და ორიენტირებულია ადამიანზე, როგორც მთავარ ღირებულებაზე სახელმწიფოში. სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით წარსამართი კონკრეტული პრევენციული ღონისძიებები ემყარება თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპებს და უზრუნველყოფს პროაქტიულ მიდგომას ძალადობასთან ბრძოლის საქმეში. სტრატეგია გამომდინარეობს პრევენციის ზოგადი კონცეფციიდან, რომლის თანახმად, საფრთხე უნდა დაიძლიოს მისი წარმოშობის წყაროსთანავე და მაქსიმალურად შემცირდეს საფრთხის რეალიზების ალბათობა. პრევენციის მიზნის მისაღწევად გასატარებელი აქტივობები წარმოდგენილია პრევენციის როგორც პირველი (საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული აქტივობები), ისე მეორე (კონკრეტული რისკჯგუფების მიმართ) და მესამე (რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია) დონის ღონისძიების სახით. **(2) სტრატეგიის მიზანი** - სტრატეგიის მიზანს წარმოადგენს ქვეყანაში ძალადობის პრევენცია და

გრძელვადიანი პერსპექტივით პრევენციის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. აღნიშნულმა მიზანმა უნდა უზრუნველყოს ქვეყნის მასშტაბით ძალადობის ფაქტების შემცირება, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, სახელმწიფოსა და საზოგადოების აქტიური ჩართულობის გზით. ძალადობის პრევენცის მიზანი, თავის მხრივ, შედეგობრივად უზრუნველყოფს დემოკრატიულ ტოლერანტულ საზოგადოებაში ინდივიდის ჰარმონიულ განვითარებას და ძლიერი, პასუხისმგებლობის მქონე სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. **(3) ძალადობის არსი და გამომწვევი/ხელშემწყობი ფაქტორები** ძალადობის პრევენციისა ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია, განისაზღვროს თავად ძალადობის არსი და მისი გამომწვევი მიზეზები. **3.1 ძალადობის არსი** - ძალადობა შეიძლება იყოს ინტერპერსონალური ხასიათის, როდესაც სახეზეა მოძალადესა და მსხვერპლს შორის ასიმეტრიული, სიტუაციურად განპირობებული ან ზოგადად არსებული უთანასწორო მდგომარეობა. ძალადობა შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც ერთჯერადად განხორციელებულ ქმედებას, ასევე წარმოადგენს დროში განგრძობად პროცესს. აღნიშნული შეიძლება გამოვლინდეს ფიზიკურად და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმით. ფიზიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს სხეულის დაზიანებაში, თავისუფლების აღკვეთაში, სხვისი სიცოცხლის ხელყოფასა და გარკვეული ნივთის განადგურებაში. ფსიქოლოგიურ ძალადობას წარმოადგენს შეურაცხყოფა, მუქარა, დამცირება და დისკრიმინაცია. ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის გვერდით, სამართლებრივი აქტები ცალკე გამოყოფს ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას, იძულებას და უგულებელყოფას. მეტად აქტუალური და პრობლემური საკითხია სექსუალური ძალადობა, როგორც ქალთა და ბავშვთა , ისე - სხვა სპეციფიკური ჯგუფების მიმართ. ამასთან, ძალადობა შეიძლება იყოს პირდაპირი და არაპირდაპირი ხასიათის, პირდაპირია ძალლადობა, როდესაც კონკრეტული მოძალადე უშუალოდ მსხვერპლზე ახდენს ფიზიკურ ან/და ფსიქოემოციურ ზემოქმედებას. გლობალურ, საზოგადოებრივ კონტექსტში კი

ძალადობრივი გარემო ქმნის არაპირდაპირ, ე.წ. სტრუქტურულ ძალადობას, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზეგავლენის მოხდენისა და ძალთა გადანაწილების უთანასწორო სისტემას. აღნიშნული ვლინდება როლების ტრადიციულ გაგებასა და გენდერულ უთანასწორობაში, აგრეთვე, სოციალური იერარქიის გარკვეული ფაქტორენისთვის გათვალისწინებაში საზოგადოებრივი სტრუქტურების ფორმირებისას. **3.2 ძალადობის გამომწვევი მიზეზები და ხელსემწყობი ფაქტორები** ძალადობის (იქნება ეს ოჯახში ძალადობა ქალთა, ბავშვთა და ოჯახის სხვა წევრების მიმართ, ძალადობა სკოლაში, ძალადობრივი ქმედებები ქუჩასა და საცხოვრებელ უბანში) გააჩნია თავისი გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამ მიზეზთა დადგენა და შემდგომ მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა, რათა პრობლემა არა ცალ-ცალკე, არამედ ერთმანეთთან ან სხვა ფაქტორებთან თანხვედრაში წარმოადგენენ ძალადობის წარმომშობ/ხელშემწყობ გარემოებებს. ამ ფაქტორების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, რაც მიუთითებს პრობლემის კომპლექსურობას. ძალადობის უმთვრესი მიზეზია პირის სურვილი, დომინირებდეს და კონტროლი განახორციელოს მასზე დამოკიდებულ (ან მის მიერ ასეთად 9 მიჩნეულ) ადამიანზე. ძალადობრივი გამოვლინების რისკი გვხვდება სხვადასხვა გარემში, მათ შორის იმ პირთა მიმართ, რომელნიც მოძალადესთან მიმართებაში იმყოფებიან სიტუაციურად ანდა სხვა ფაქტორით განპირობებულ უთანასწორო მდგომარეობაში. იმ გარემოსა და ჯგუფებში, რომლებსაც ახასიათებთ დაუცველობა და სოციალიზაციის ნაკლებობა, მსხვერპლის როლში ხშირ შემთხვევაში გვევლინებიან ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მოხუცები, რომეთა უთანასწორო მდგომარეობა აადვილებს მათზე ძალადობის განხორციელებას, ამასთან, ძალადობა შეიძლება გამოიხატოს როგორც პირდაპირი ფორმით. ძალადობის გამომწვევ/ხელსემწყობ ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული სოციალური ვითარება: პრობლემები დასაქმების ბაზარზე,

ახალგაზრდების ინტელექტუალური და შრომითი პოტენციალის რეალიზებს არასათანადო გარემო და ფინანსური დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი, სერვისებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, ბავშვებისთვის სახლის გარეთ სათამაშო სივრცის ნაკლებობა, საოჯახო საქმეებში ქალის ტრადიციული როლის დომინირება. აღნიშნული ქმნის გარემოს, რომელიც ახდენს ადამიანის მატერიალურ და ემოციურ გადატვირთვას და ვლინდება ძალადობრივ გამოვლინებებში. ამასთან, სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაში არ დგინდება პირდაპირი კავშირი მძიმე სოციალურ გარემოში ინდივიდის ჩამოყალიბებასა და მის ანტისოციალურ ქმედებებს შორის. კვლევები გვიჩვენებს, რომ ძალადობრივი ქმედებები სოციალური კეთილდღეობის მქონე ოჯახთა წარმომადგენლების მხრიდანაც ვლინდება. შესაბამისად, არაძალადობრივი ქცევის სწავლება თანაბრად ესაჭიროება საზოგადოების ინსტიტუტების გვერდით, მათ ფუნქციებში ჩარევის გარეშე. ძალადობის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს გენდერული უთანასწორობა, ალკოჰოლზე, ნარკოტიკებზე, აზარტულ თამაშებსა და ინტერნეტზე დამოკიდებულება, ინდივიდის ნაკლები ჩართულობა საზოგადოების ცხოვრებაში, აქტიური მოქალაქეობის იდეის დეფიციტი საზოგადოებაში. **(4) ძალადობის პრევენციის ძირითადი სფეროები** ქვეყანაში არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სტრატეგიამ მოიცვას ძალადობის პრევენციის ყველა ის მიმართულება, რომელიც საზოგადოებისთვის განსაკუთრებით აქტუალურია. ასეთი მიმართულებებია ოჯახში ძალადობის, სკოლაში ძალადობისა და ქუჩასა და საცხოვრებელ უბანში ძალადობის პრევენცია შესაბამისი მექანიზმებით. აღნიშნულს წარმოადგენს სამოქალაქო განათლება, მედიაცია და რეაბილიტაცია- რესოციალიზაციის კონკრეტული პრევენციული მექანიზმები. სტრატეგია ასევე განიხილავს დამოკიდებულებას, როგორც საზოგადოებისა და სახელმწიფო მნიშვნელოვან პრობლემას, რომლის პრევენციის გარეშე ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ვერ იქნება ეფექტიანი. სტრატეგია ითვალისწინებს როგორც უკვე არსებული ღონისძიებების ეფექტიანობის

ამაღლებას ისე ძალადობის პრევენციის ახლი აქტივობების განხორციელებას სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების თანამონაწილეობით. სტრატეგია ცალკე არ გამოყოფს კონკრეტულ რისკ ჯგუფებს სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებებში, სახელმწიფო მზრუნველობაში განთავსებულ ბავშვთა, ქუჩაში მცხოვრებ და მომუშავე ბავშვთა, მოხუცების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, უმცირესობას მოკლებულ და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირების სახით. თუმცა, სტრატეგიის მიერ განსაზღვრულ პრევენციის ძირითად მიმართულებებში, ბუნებრივია, აღნიშნული რისკ ჯგუფები მოიაზრება და მასზე ვრცელდება პრევენციის კონკრეტული მექანიზმები პასუხისმგებელი უწყებების შესაბამისი აქტივობების განხორციელების გზით, სამოქმედო გეგმი შესაბამისად. **(5) ოჯახში ძალადობის პრევენცია 5.1. ოჯახში ძალადობის პრევენციის გამოწვევები** ოჯახში ძალადობა წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას და თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ურთულესი სოციალური და სამართლებრივი გამოწვევაა.უკანასკნელ პერიოდში საქართველოში გამოვლენილმა ოჯახური ძალადობის არაერთმა შემთხვევამ და მკვლელობის ფაქტმა დადასტურა, რომ პრობლემა მჭიდროკავშირშია ქალთა მიმართ ძალადობასთან და უარყოფითად აისახება ოჯახის ნებისმიერი წევრის პიროვნულ და პროფესიულ პერსპექტივებსა და მთლიანად საზოგადოების ნორმალურ განვითარებაზე. ოჯახში ძალადობის შემთხვევები ხდება როგორც დაბალი სოციალური მდგომარეობის, ასევე ეკონომიკურად ძლიერ და უზრუნველყოფილ ოჯახებში. შესაბამისად, ამ კომპლექსური პრობლემის დაძლევა მოიოთხოვს აქტიურ ძალისხმევას და გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელებას სახელმწიფო და სამოქალაქო სექტორის მხრიდან. ოჯახში ძალადობის გამოწვევებზე საპასუხოდ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ოჯახური ძალადობის შემთხვევებზე ეფექტიანი რეაგირება. სამართალდამცავებს არ აქვთ უფლება ოჯახში ძალადობის ფაქტები მიიჩნიონ ნაკლებადმნიშვნელოვნად და არ

უზრუნველყონ მათი თანასწორი დაცვა. სახემწიფო მოხელეებს კანონით განსაზღვრული ვალდებულელებების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში უნდა დაეკისროთ შესაბამისი პასუხისმგებლობა. ოჯახში ძალადობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე რეაგირებისთვის ყველა შესაბამისი უწყება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინირებულად უნდა იყოს წარმოდგენილი. ოჯახში ძალადობის პრევენციის უფრო მეტად ეფექტიანი განხორციელება უნდა უზრუნველყონ: საქართველოს შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, სქართველოს პროკურატურამ და სასამართლო ორგანოებმა. ამასთან, საჯარო სექტორთან აქტიური როლი უნდა შეასრულონ არასამთავროობო ორგანიზაციებმა, მედია საშუალებებმა, რელიგიურმა კონფესიებმა და სხვა საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა, რომელიც საზოგადოებაში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ. **5.2 ოჯახში ძალადობის პრობლემის არსი** ოჯახში ძალადობის არსი შესაძლებელია დახასიათდეს გარკვეული კრიტერიუმების მეშვეობით: ძალადობის დროს ითრგუნება ადამიანის ნება შელახულია მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება- მისი ბუნებითი უფლებები (თავისუფლების და ბედნიერებისაკენ სწრაფვის ფუნდამენტური უფლებები); ამასთან, ოჯახში ძალადობის დროს ადგილი აქვს ძალთა დისბალანსს, უთანასწორებას (მაგ; გენდერულ უთანასწორებას); ძალადობის მეშვეობოით მოძალადე ესწრაფვის მსხვერპლზე ძალაუფლებისა და კონტროლის შესაძლებლობის მოპოვებას;

5.3. ოჯახში ძალადობბის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები ოჯახში ძალადობას გააჩნია სხვადასხვა ხელშემწყობი, მაპროვეცირებული ფაქტორები, თუმცა ოჯახში ძალადობის უმთავრესი მიზეზი არის ოჯახში ერთი წევრის (მოძალადე) მიზანი, ოჯახის მეორე წევრზე (მსხვერპლი) მოიპოვოს

ძალაუფლებისა და კონტროლის შესაძლებლობა. ოჯახში ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორები უმთავრესად გავლენას ახდენს ძალადობის ხარისხძე და წარმოადგენს ძალადობის მაპროვოცირებულ გარემოებას. ოკახში ძალადობის ხელსემწყობი მაპროვოცირებელი ფაქტორები შეიძლება იყოს კულტურული, ეკონომიკური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური ხასიათის:

5.3. ოჯახში ძალადობის პრევენცია სწავლების მეშვეობით ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის უმნიშვნელოვანესია ადრეული პრევენცია, რაც გულისხმობს მოქალაქის პიროვნების ჩამოყალიბების ეტაპზე მისი შეგენების ფორმირებისთვის სწორი მიმართულების მიცემა. ცხადია, აღიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა ყველა იმ უწყების თანაბარი ჩართულობა, რომელთა არსებობა/ფუნქციონირება პირდაპირ უკავშირდება მოზარდის განვითარებას შესაბამისად საჭიროა :

- სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და სკოლის მოსწავლეთა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაძალადობრივ ქცევაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება/დანერგვა; აღნიშნული პროგრამების საფუძველზე, პედაგოგების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- სკოლის მოსწავლეთათვის სამოქალაქო ღირებულებების სწავლება მათში ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება, კონფლიქტის მშვიდობიანი გზების მოგვარებისა და კომპრომისის მიღწევის მეთოდების ჩათვლით.
- მოსწავლეთათვის ოჯახში ძალადობის შესახებ სპეციალური კურსის შეთავაზება არაფორმალური განათლების ფარგლებში, რომლის მიზანი იქნება მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობის სწავლება, სხვისი ინდივიდუალიზმის პატივისცემის უნარის განვითარება. აგრეთვე ინფორმაციის მიწოდება არასრულწლოვანთა აღზრდასა და სწავლებასთან

დაკავშირების მშობლების ან მათი უფლებამონაცვლეების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან გათვალისწინებით.

- მოსწავლეებმა, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების ფარგლებში უნდა მიიღოს ცოდნა გენდერული თანასწორობის, რეპროდუქციული ჯანმრთელობის და თანასწორუფლებიანი პარტნიორობის შესახებ, როგორც პირად ურთიერთოობაში, ასევე შვილების აღზრდის საკითხში. თვალსაჩინოდ უნდა წარმოჩნდეს ძალადობრივი კონფლიქტების ალტერნატიული, კომპრომისული მოგვარების გზები. ამგვარად, მოსწავლეები უნდა მოემზადონ მომავალი არაძალადობრივი და სტერეოტიპებისგან თავისუფალი ოჯახური ცხოვრებისთვის;
- მნიშვნელოვანია, რომ სკოლაში მშობლებისთვის მოეწყოს სემინარიები (თუმც მშობელთა კრების ფორმატში), სადაც მშობლებს მიაწვდიან ინფორმაციას (მაგ. სკოლის ფსიქოლოგები) ოჯახში ძალადობის თემაზე, განსაკუთრებით ბავშვების ფსიქიკაზე მისი მავნე ზემოქმედების შესახებ. მშობლებს უნდა განემარტოთ, რომ ბავშვების ჯანმრთელობა ზიანდება იმ შემთხვევაში, როდესაც ძალადობა უშუალოდ მათზე არ ხორციელდება და ისინი მხოლოდ მსგავსი ქმედებბის მოწმენი არიან.

ა) სკოლაში ძალადობა და მისი პრევენცია

- სკოლაში ძალადობის პრევენცია ძალადობასთან ბრძოლის ნებისმიერი სამოქმედო გეგმა, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა თაობაში გაჩენილი აგრესიის პრევენციას ემსახურება. განსაკუთრებით მწვავედ დგას სკოლის ასაკის ახალგაზრდებში არსებული ძალადობის პრობლემა, შესაბამისად, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სკოლაში ძალადობის პრევენციას. **(1) ძალადობის კუთხით სკოლაში არსებული გამოწვევები** სკოლა ერთგვარი

ფორუმია საზოგადოებასა და ახალ თაობას შორის დიალოგისთვის. მისი მეშვეობით სახელმწიფოს მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ძალადობის პრევენციაში. ახალგაზრდა მათ შორის სკოლამ უნდა მოამზადოს თანამედროვე საზოგადოებაში არსებულ კონფლიქტურ გარემოებებთან გასამკლავებლად. ამისათვის აუცილებელია იმ ხარვეზების აღმოფხვრა, რომლებიც დღეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში გვხვდება. ძალადობისა და აგრესიის მიმართ ქმედითი ღონისძიებები უნდა გატარდეს სკოლის შიგნით არსებული მედიაციისა და სხვა აღმზრდელობითი რესურსის გამოყენებით. ამ გზით უნდა მოხდეს სკოლის ადმინისტრაციის, მასწავლებელთა და მოსწავლეთა პასუხისმგებლობის გაზრდა და სკოლის აღზმრდელობითი ფუნქციის ხელახალი გააზრება. **(2) სკოლაში ძალადობის გამომწვევი მიზეზები** სკოლაში ძალადობის, ისევე როგორც ზოგადად ძალადობის ძირითადი გამოწვევი მიზეზია პირის (მოძალადე) პირის სურვილი, დომინირებდეს და კონტროლი განახორციელოს მეორე ინდივიდზე (მსხვერპლი) სკოლაში ძალადობა არ ვლინდება მხოლოდ ფიზიკური ძალის გამოყენებაში. ძალადობის გამოხატვის ფორმებს წარმოადგენს: ერთმანეთის მიმართ უხეში თუ გამომწვევი ტონი და გამონათქვამები (ადამიანის ღირსების შემლახვე;ლი, დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი სიტყვების და მუქარის თანხმობით); ვანდალური გამოვლინებები (საჯარო ნივტების დაზიანება); ე.წ. ბულინგი/მობინგი (ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან მეორე ინდივიდზე, რომელსაც არ შეუძლია თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში. ვლინდება, ასევე, შეურაცხყოფაში, მუქარასა და დისკრიმინაციაში). საგანგაშოა შემთხვევა როდესაც ძალადობა მომდინარეობს სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა მხრიდან ხაზგასმას საჭიროებს, გენდერული უთანასწორობის ნიადაგზე გამოვლენილი ძალადობის ფაქტები. სკოლაში

ძალადობას ხშირად თან სდევს სკოლაში მიმდინარე პროცესების მიმართ მასწავლებელთა და მოსწავლეთა გულგრილობა. ამას ემატება მშობელთა ნაკლები ჩართულობა როგორც შვილის სასწავლო პროცესში, ისე ზოგადად სასკოლო ცხოვრებაში. მოსწავლეთა იზოლაცია სკოლის ცხოვრებისაგან, მასწავლებელთა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ურთიერთობების ნაკლებობა ხშირად განაპირობებს ვანდალურ საქციელს, რადგან მოსწავლეები საკუთარ თავს სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებასთან ვერ აიგივებენ. შეიძლება არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოსწავლეებში გამოვლენილ ძალადობასა და საგნობრივი სტანდარტის დაძლევის სირთულეს შორის. სასკოლო საგნებში წარუმატებლობა (რაც შესაძლოა უარყოფითად აისახოს დასაქმების სამომავლო პერსპექტივაზე)- ფსიქოლოგიურ სტრესს, სკოლისა და წარმატებული თანატოლებისგან გაუცხოებას განაპირობებს. ეს კი აგრესიისა და ძალადობრივი გამოვლინებების ერთი -ერთი ხელშემწყობი ფაქტორია. პედაგოგიური ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება, ტოლერანტობის დეფიციტი თავად მასწავლებლებში და შეფასების არაერთგვაროვანი სტანდარტები ძალზედ უარყოფითად ისახება მოსწავლეთა ფსიქიკაზე და მათ სოციალურ აქტივობაზე. **(3) სკოლის ფუნქცია ძალადობის პრევენციის კუთხით** ძალადობის პრეენციის კუთხით სკოლას დიდი როლი ენიჭება. სახელმწიფომ ძალისხმევა არ უნა დაიშუროს, რომ სკოლის ძირითადი ფუნქცია -საგანმანათლებლო-აღმზრდელობითი საქმიანობა - მაღალი ხარისხით იყოს განხორციელებული. ძალადობის პრევენცციის კუთხით სკოლის აღმზრდელობითი ფუნცია შემდეგი ამოცანების განხორციელებას მოიცავს:

- ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დემოკრატიის, ადამიანის უფლებების და სხვა სოციალური ღირებულებების სწავლების დანერგვა (როგოც სამოქალაქო განათლების ნაწილი), ასევე მშვიდობიანი

გზით კონფლიქტის განაჭრის მეთოდების დაუფლების (კომპრომისის მიღწევა არგუმენტაციის, მოლაპარაკების გზით) სწავლების დანერგვა;

- არაფორმალური განათლების ნაწილში მოსწავლეთათვის ძალადობის პრევენციის სპეციალური კურსის შეთავაზება; რათა მათთვის გასაგები გახდეს ძალადობის გამომწვევი მიზეზები (მაგ: ძალადობა სკოლაში, ოჯახში) და მათი აღმოფხვრის გზები. შედეგად, ისინი ფსიქოლოგიურად ემზადებიან თანამედროვე საზოგადოებაში არსებული კონფლიქტური გარეომებების აღსაქმელად და მშვიდობიანი გზით გადასაჭრელად;
- მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა, განსაკუთრებით შესაბამისი მავნე ჩვევების (ნარკოპტიკების და ალკოჰოლის მოხმარება, აზარტული და კომპიუტერული თამაშების გატაცება, ინტერნეტ დამოკიდებულება) არსებობის დროს;
- საჭიროებისამებრ, დამატებითი ინდივიდუალური მუშაობა მოსწავლესთან, როგორც სხვადასხვა საგნის სტანდარტის დაძლევის სირთულის და სხვა კონკრეტული პრობლემის არსებობისას (მაგ: პრობლემა, შესაძლოა, უკავშირდებოდეს მოსწავლის მიკუთვნებულობას უმცირესობისადმი), აგრეთვე მოსწავლის თვით შეფასების უნარის ამაღლებისთვის.
- მნიშვნელოვან პრევენციულ ასპექტს წარმოადგენს სპორტის (როგორც სასკოლო საგნის) ფუნქციის ახლებური გააზრება და სათანადო დანერგვა. სპორტული აქტივობა მოსწავლეს პრაქტიკულ მაგალითს აძლევს ჯანსაღი კონკურენციის, სხვისი წარმატების აღიარების, სამართლიანობის და სხვა სოციალური საკითხების შესახებ;
- აუცილებელია მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა ობიექტური და ერთიანი სტანდარტით შეფასება. მოსწავლეს არ უნდა გაუჩნდეს უსამართლობის და მასწავლებლისაგან აღიარების განცდა;

- მიზანშეწონილია სკოლების შინაგანაწესისი შემუშავების პროცესში მოსწავლეების ჩართვა. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსწავლეთა კონფლიქტების, ძალადობისა თუ სხვა აგრესიული ქმედების რეგულირებისა და მედიაციის;
- მნიშვნელოვანის პედაგოგების გადამზადება ძალადობის ფორმების და მისგან გამოწვეული ზიანის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით.

ბ) ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები

- ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები ოჯახში ძალადობას გააჩნია სხვადასხვა ხელისემწყობი, მაპროვოცირებელი ფაქტორები, თუმცა ოჯახში ძალადობის უმთავრესი მიზეზი არის ოჯახში ერთი წევრის (მოზალადე) მიზანი, ოჯახის მეორე წევრზე (მსხვერპლი) მოიპოვოს ძალაუფლებისა და კონტროლის შესაძლებლობა. ოჯახში ძალადობის ხელშემწყობი მაპროვოცირებელი ფაქტორები შეიძლება იყოს კულტურული, ეკონომიკური, სამართლებრივი თუ პოლიტიკური ხასიათის:
- გენდერული უთანასწორობა ქალსა და კაცს შორის, ამ უკანასკნელის სასარგებლოდ;
- ქალისა და მამკაცის წინასწარ განსაზღვრული როლები;
- ტრადიციული წარმოდგენა ოჯახში მამაკაცის დომინანტური როლის შესახებ;
- წარმოდგენები მამაკაცის, როგორც მესაკუთრის შესახებ;
- წარმოდგენა, რომ ოჯახი არის გარე კონტროლის მიღმა არსებული კერძო სფერო;
- ნაადრევი ან/ და იძულებითი ქორწინება;

- სამართალდამცველების არასენსიტიური დამოკიდებულება გენდერზე დამყარებული ძალადობრივი ფაქტების მიმართ;
- ძალადობის გაგება პრობლემის გადაჭრის მიღებულ მეთოდად. მაგ/მშობლები, შესაძლოა, ასევე ქმედებებს აღიარებენ ბავშვების აღზრდის საუკეთესო საშუალებად;
- წარსულში (ბავშვობაში) განცდილი ძალადობა (ოჯახში თუ აღმზრდელობით დაწესებულებაში), რის გამოც შემდგომში შესაძლებელია თავადაც გახდნენ მოძალადეები;
- ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება და ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება;
- ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე, რის გამოც, შესაძლებელია, ქალი მაინც დარჩეს მოძალადე მამაკაცთან ერთად;
- შრომითი და ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზების არასათანდო შესაძლებლობები შრომის ბაზარზე;
- განათლების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა;
- მამაკაცის მიერ მეუღლის მზარდი ეკონომიკური აქტივობის და დამოუკიდებლობის საფრთხედ აღქმა;
- სამართლებრივი ცნობიერების დაბალი დონე; ქალთა ნაკლები წარმოდგენა პოლიტიკურ სისტემაში, ბიზნესში, სამართალდამცავ ორგანოებსა თუ სხვა სფეროებში, განსაკუთრებით, ხელმძღვანელ თანამდებობებზე. აღნიშნული იწვევს მათ იდენტიფიცირებას მხოლოდ ოჯახის ნაწილად და არა დამოუკიდებელ, საჯარო სივრცეში აქტიურ ინდივიდად. ოჯახში ძალადობის პევენციისა და აღმოფხვრისათვის უმნიშვნელოვანესია ადრეული პრევენცია, რაც გულისხმობს მოქალაქის პიროვნებად ჩამოყალიბების ეტაპზე მისი შეგნების ფორმირებისათვის სწორი მიმართულების მიცემას. ცხადია, აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა

ყველა იმ უწყების თანაბარი ჩართულობა, რომელთა/ფუნქციონირება პირდაპირ უკავშირდება მოზარდის განვითარებას. შესაბამისად საჭიროა:

- სკოლამდელი ასაკის ბავშვებისა და სკოლის მოსწავლეთა სააღმზრდელო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში არაძალადობრივ ქცევაზე ორიენტირებული პროგრამები შემუშავება/დანერგვა; აღნიშნული პროგრამების საფუძველზე პედაგოგების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- სკოლის მოსწავლეთათვის სამოქალაქო ღირებულებების სწავლება, მათში ეფექტური კომუნიკაციის უნარების განვითარება, კონფლიქტის მშვიდობიანი გზების მოგვარებისა და კონფლიქტის მიწოდების მეთოდების ჩათვლით;
- მოსწავლეთათვის ოჯახში ძალადობის შესახებ სპეციალური კურსის შეთავაზება არაფორმალური განათლების ფარგლებში, რომლის მიზანი იქნება მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობის სწავლება სხვისი ინდივიდუალიზმის პატივისცემის უნარის განვითარება. აგრეთვე, ინფორმაციის მიწოდება არასრულწლოვანთა აღზრდასა და სწავლასთან დაკავშირებით მშობლების ან მათი უფლებამონაცვლეობის კანონმდებლობის გათვალისწინებულ ვალდებულებებთა დაკავშირებით;
- მოსწავლეებმა, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების ფარგლებში უნდა მიიღონ ცოდნა გენდერული თანასწორობის, რეპროდუქციული ჯამრთელობის და თანასწორუფლებიანი პარტნიორობის შესახებ, როგროც პირად ურთიერთობებში, ასევე შვილების აღზრდის საკითხში თვალსაჩინოდ უნდა წარმოჩნდეს ძალადობრივი კონფლიქტების ალტერნატიული, კომპრომისული მოგვარების გზები ამგვარად, მოსწავლეები უნდა მოემზადონ მომავალი არაძალადობრივი და სტერეოტიპებისგან თავისუფალი ოჯახური ცხოვრებისთვის;

- მნიშვნელოვანია, რომ სკოლებში მშობლებისთვის მოეწყოს სემინარები (თუნდაც მშობელთა კრების ფორმატში), სადაც მშობლებს მიაწვდიან ინფორმაციას (მაგ. სკოლის ფსიქოლოგები) ოჯახში ძალადობის თემაზე, განსაკუთრებით ბავშვების ფსიქიკაზე მისი მავნე ზემოქმედების შესახებ. მშობლებს უნდა განემარტოთ, რომ ბავშვების ჯანმრთელობა ზიანდება იმ შემთხვევაში, როდესაც ძალადობა უშუალოდ მათზე არ ხორციელდება და ისინი მხოლოდ მსგავსი ქმედებების მოწმენი არაინ.

გ) ოჯახში ძალადობის ფორმები და პრევენცია

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა უგულებელყოფითან/და ფიზიკური, ფსიქპოლოგიური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

საქართველოს კანონი ,, ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი3. ოჯახური ძალადობა,ყველაზე ხშირად პარტნიორებს შორის ხდება. ასეთ ძალადობას, როგორც წესი, სისტემატური ხასიათი აქვს და მიზნად ისახავს ერთი ადამიანი მიერ მეორის დაქვემდებარებას,საკუთარი ძალაუფლებისა და კონტროლის ქვეშ მოქცევას. ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ყველა! ნებისმიერი ადამიანი, ნებისმიერი რასის, სოციო-ეკონომიკური წრის, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, გენდერული იდენტობისა თუ რელიგიის წარმომადგენელი. ძალადობა შეიძლება ხდებოდეს ნებისმიერ წყვილს შორის, ვინც დაქორწინებულია, ერთად ცხოვრობს ან, უბრალოდ, ხვდება ერთმანეთს. ოჯახური/პარტნიორთა შორის ძალადობა მოიცავს ქცევათა ძალიან ფართო სპექტრს, რომელშიც შედის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქო-ემოციური და ეკონომიკური ძალადობა. კვლევები ცხადყოფს, რომ მსხვერპლთა უმეტესობა ქალია, მოძალდე კი -კაცი.

ხშირად იმისთვის, რომ გავიაზროთ ოჯახში/პარტნიორთა შორის ძალადობის სისტემატური ხასიათ, ვიყენებთ ძალაუფლებისა და კონტროლის ბორბალის ვიზუალს, სადაც ნათლად ჩანს, თუ როგორი საქციელი შეიძლება იყოს ძალადობა.

ძალადობისა და კონტროლის ბორბალი

ფიზიკური და სექსუალური ძალადობა ყველაზე მწვავე ფორმის ძალადობაა. ხშირად სადაც ფიზიკური ძალადობაა, იქვეა სექსუალური ძალადობაც, რადგან მოძალადე საძინებლის ზღურბლზე გადაბიჯების შდეგადაც არ იცვლება. იქ, სადაც ფიზიკური და სექსუალური ძალადობაა, სხვა ტიპის უფრო მსუბუქი ძალადობრივი ქცევებიც შემაშფოთებლად აღიქმება მსხვერპლის მიერ. ასე მაგალითად, დამამცირებელი სახელით მიმართვა, რაც არასასიამოვნოა ადამიანისათვის, არაძალადობრივ წყვილში მოგვარდება ჩვეულებრივი საუბრით,სადაც ერთი მხარე აუხსნის, რომ ასეთი მიმართვა არ სიამოვნებს, შეთანხმდებიან და ინცინდენტი ამოიწურება. მაგრამ როდესაც დამამცირებელი სახელით მიმართავს მოძალადე მსხვერპლს, მსხვერპლი ვერ ბედავს შეპასუხებას, რადგან ასეთი შეპასუხება შეიძლება მას ძალიან ძვირად დაუჯდეს. შესაბამისად, ცალკე აღებული არასასიამოვნო ინციდენტები, რასაც ჩვეულებრივი წყვილი მარტივად გაართმევდა თავს, პრობლემურ წყვილში ძალადობის სისტემას აყალიბებს და ამყარებს. ძალაუფლებისა და კონტროლის ბორბალი სასარგებლო ინსტიტუტია, რათა დავინახოთ როგორ მუშაობს ძალადობა. ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობას ძალიან ხშირად თან ახლავს მცირე ძალადობრივი ხასიათის ქცევა. ფიზიკურ და სექსუალურ ძალადობასთან შედარებით, ისინი ძნელად შესამჩნევია, თუმცა დიდ როლს თამაშობს მყარი ძალადობის მოდელის ჩამოყალიბებაში.

პრევენცია

ოჯახში ძალადობი პრევენციის მექანიზმები გულისხმობს სოციალური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვა ღონისძიებების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მიზეზებისა და წინა პირობების თავიდან აცილებისკენ, ძალადობის ღკვეთისკენ მოძალადის სამართლებრივი დევნისკენ, მისი დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ, მსხვერპლის რეაბილიტაციისა და ადაპტაციისკენ.

სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის მექანიზმების დანერგვასა და განხორციელებას. ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელებას თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, *საქართველოს კანონის „ ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ შესაბამისად,* უზრუნველყოფენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს პროკურატორის ორგანოები და სასამართლო ორგანოები.

რის გაკეთება შეგვიძლია ჩვენ?

ძალადობრივი ურთიერთობიდან თავის დაღწევა არც ისე ადვილია უამრავი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი არსებობს რატომაც რჩებიან ადამიანები ძალადობრივ ურთიერთობაში, მათ შორის, არსებობს შიშის ფაქტორიც, რომ ძალადობრვი ურთიერთობის დატოვება საფრთხის შემცველი იყოს მსხვერპლისთვის.

ძალადობა გულისხმობს კონტროლსა და ძალაუფლებას, ამიტომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზა, დაეხმარო შენს მეგობარსა თუ ოჯახის წევრს, არის მისი გაძლიერება, რათა მან თავად მიიღოს გადაწყვეტილება და თავად დაიწყოს

საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა. დამატებით კი შეგიძლია შემდეგი სახის დახმარება გაუწიო ადამიანს, ვინც ძალადობრივ ურთიერთობაში იმყოფება:

- **გაიაზრე, რომ ეს ადამიანი რთულ სიტუაციაშია. მზად იყავი, რომ მხარი დაუჭირო და მოუსმინო მას.**

  უთხარი მას, რომ ძალადობა მისი ბრალი არაა. ეცადე, დარწმუნე, რომ მარტო არა და შესაძლებელია მისი დახმარება. მისთვის შეიძლება რთული იყის ძალადობაზე საუბარი. დაარწმუნე, რომ შენ მზად ხარ, მოუსმინო და დაეხმარო, როცა ის თავად იქნება მზად. მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეგულებოიდეს ვინმე, ვინც მოუსმენს.

- **არ განსაჯო.**

  პატივი ეცი შენი მეგობრისა თუ ოჯახის წევრის გადაწყვეტილებას, ბევრი მიზეზია, რის გამოც ის შეიძლება ძალადობრივ ურთიერთობაში რჩებოდეს. მან შეიძლება არაერთხელ დატოვოს, მაგრამ ისევ დაბრუნდეს ურთიერთობაში. ნუ გააკრიტიკებ მის გადაწყვეტილებას და ნუ შეეცდები, დაადანაშაულო. მას შენი მხარდაჭერა ასეთ დროს ყველაზე მეტად დასჭირდება.

- **თუ მან დაასრულა ურთიერთობა,იყავი მისი მხარდამჭერი ამის შემდეგაც.**

  მიუხედავად იმისა, რომ ურთიერთობა ძალადობრივი იყო, შენი მეგობარი შეიძლება მაინც მარტოდ და სევდიანად გრძნობდეს თავს, ამ პერიოდში მას განსაკუთრებით დასჭირდება შენი მხარდჭერა.

- **ხელი შეუწყო, დრო გაატაროს მეგობრებისა და ოჯახის გარემოცვაში.**

  ძალადობის შემთხვევაში, მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია მსხვერპლისთვის, მეგობრებთან და ოჯახის წევრებთან დროის გატარება შეახსენებს, რომ ის უყვართ და მასზე ზრუნავენ.

- **დაეხმარე, დაგეგმოს ურთიერთობის უსაფრთხო დასრულება.**

დაეხმარე, შეიმუშაოს გეგმა, როდესაც ურთიერთობის დატოვებისას გამოიყენებს.

- **ხელი შეუწყე, დაელაპარაკოს ადამიანებს, რომლებსაც დახმარების შეთავაზება შეუძლიათ.**

  ეცადე, აუხსნა მეგობარს თუ ოჯახის წევრს, რომ არსებობს ორგანიზაციები, სადაც უფასო იურიდიულ და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას მიიღებს. უთხარი, რომ მზად ხარ,დაეხმარო, მათთან გავიდეს კონტაქტზე, მოიძიე ასეთი ორგანიზაციები მისთვის.

- **გახსოვდეს, რომ შენ ვერ „გადაარჩენ“ მას.**

  რაც არ უნდა ძნელი სანახავი იყოს საყვარელი ადამიანის ძალადობრივ ურთიერთობაში ყოფნის ნახვა, გახსოვდეს, რომ ის ერთადერთია, ვისაც გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. მხარი დაუჭირე მას, რაც არ უნდა გადაწყვიტოს და ეცადე, მის გვერდით იყო, რათა დაეხმარო , იპოვოს გზა სიმშვიდისა და უსაფრთხოებისკენ. დამატებით გახსოვდეს, რომ არასოდეს გაამჟღავნო შენი მეგობრის ან ოჯახის წევრის ადგილსამყოფელი ისეთ ვებ-გვერდზე, როგორიცაა ფეისბუქი ან ტვიტერი. გახსოვდეს, რომ ძალადობრივი ურთიერთობის დატოვება ძალიან საშიშია, არ დაწერო ფეისბუქზე მათ შესახებ, სად ხარ მასთან ერთას და ა.შ.

თუ თქვენ გახდით ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ან ფლობთ ინფორმაციას ოჯახში ძალადობის თაობაზე , გთხოვთ დაუკავშირდეთ. „112“ ერთიანი საგანგებო ნომერი 24/7 საათის განმავლობაში.

თავი II ბულინგი

ტერმნი ,, ბულინგი“ ინგლისური სიტყვაა და ქართულად ჩაგვრას/აბუჩად აგდებას ნიშნავს. ეს არის არასასურველი, აგრესიული სახის ქცევა, რომელიც უმეტესად ვლინდება სკოლის ასაკის ბავშვებში. ,,ბულინგი“ სოციალური მოვლენაა, რომელიც, როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, დამახასიათებელი ძირითადად ორგანიზებულია ბავშვთა კოლექტივისათვის და პირველ რიგში ეს არის სკოლა. თუმცა, არასწორია მოსაზრება, რომ როლური ურთიერთობა ,,ლიდერი-გარიყული“ მხოლოდ სასკოლო ასაკიდან იღებს სათავეს და უფრო ადრეულ ასაკში მას ადგილი არ აქვს. დღესდღეობით არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს, რომ მოზარდთა სოციალიზაციის პროცესი უფრო ადრე იწყება, ვიდრე ეს იყო წინა თაობაში. ასე რომ, როლური ურთიერთობები და თუნდაც ჯერ კიდევც გაუაზრებლად, მაგრამ ზეგავლენის მოპოვების სურვილიც ადრეულ, ჯერ კიდევ სკოლანდელ ასაკში იჩენს თავს. ,,ბულინგი“ აქტუალური პრობლემაა როგორც მთელ მსოფლიოში,ისევე საქართველოშიც. ეს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის ფორმაა, რომელიც მოზარდ თანატოლთა შორის არის გავრცელებული და ერთი მხარის მიერ მეორის დაჩაგვრად და დაცინვაში გამოიხატება. შედეგად კი ძალიან ცუდ მდგომარეობას ვიღებთ, ხშირ შემთხვევაში ბავშვების სწორი მიმართულებით განვითარება წყდება და ძალიან დიდი ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათ. ბულინგის შედეგები უშუალოდ შეიძლება დაუკავშიროთ თვითშეფასებას, უფრომეტად კი დაბალ თვითშეფასებას, რომელიც ძალიან უარყოფითად მოქმედებს პიროვნების განვითარებაზე.

ჩაგვრა/აბუჩად აგდება შეიძლება იყოს ვერბალური (მაგალითად: ნეგატიური, დამამცირებელი კომენტარების გაკეთება, ყვირილი, ჭორაობის გავრცელება), ან ფიზიკური (მაგალითად, დარტყმა,ნივთების სროლა). ხშირად ჩაგვრა ემოციური ძალადობის ხასიათს ატარებს, მიმართულია რა დამცირებაზე, დამუქრებაზე, გამოძალვაზე, გაღიზიანებაზე. შესაძლოა ჩაგვრა განხორციელდეს დისტანციური გზით-სატელეფონო ზარით, მესიჯებით, ელექტრონული ფოსტით, ან სხვა ელექტრონული საშუალებით. შეუძლებელია გამოვყოთ ერთი მიმართულება

რომელიც უფრო მეტად მოქმედებს ადამიანზე, ნებისმიერი სახის ჩაგვრამ შეიძლება მიგვიყვანოს თვით შეფასების დაცემამდე. სამწუხაროდ, ბულინგის მსხვერპლი ყოველთვის არ იწვევს საზოგადოებასში თანაგრძნობას. ბავშვის სისუსტე და მისი ჩაგვრა ზოგიერთ შემთხვევაში გარშემომყოფთა ზიზღსა და მისი გარიყვის სურვილს იწვევს. მოზარდთა გარემოში შეიძლება ჩამოყალიბდეს ნეგატიური დამოკიდებულება სასკოლო ძალადობის მსხვერპლის მიმართ იმ პრინციპით, რომ ,,ყველაფერში თავადაა დამნაშავე, რადგან წინააღმდეგობას ვერავის უწევს". თავად ჩაგრული კი ამ შემთხვევაში ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარდება, რადგან გრძნობს აბსოლუტურ უიმედოობას, სიტუაციის გამოუვალობასა და სრულ უმწეობას, რადგან განიცდის დაუძლეველ შიშს ჩაგვრებისა და იმ ახალი დამცირებების წინაშე, რომლებიც ჯერ კიდევ წინ ელის, ის გრძნობს სირცხვილს საკუთარი უმწეობის გამო. ხშირად, მოზარდი- მსხვერპლი ამ მდგომარეობაში საკუთარ თავსაც კი იდანაშაულებს, ფიქრობს რომ არაფერი არ შეუძლია, ამიტომ რაც მოხდა ამას ნამდვილად იმსახურებს. ბავშვთა საზოგადოებაში ძალადობაში მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი მოზარდი. მაგრამ განსაკუთრებით დაუცველები არიან ბავშვები, რომლებიც განსხვავდებიან თავისი თანატოლებისგან როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქიკური მახასიათებლებით. რისკ- ჯგუფში ხვდებიან განსხვავებული ფიზიკური მონაცემების მქონე, თავისებური ხასიათისა და ქცევის, სხვა ეროვნებისა და ა.შ. ბავშვები. გულინგის მოტივაცია კი მრავალფეროვანია- შურისძიერბა, კონკურენცია, მიუღებლობა, მორჩილება ლიდერისადმი, სამართლიანობის აღდგენა, ხასიათის თავისებურებები.

ბულინგისთვის ჩვეულებრივ დამახასიათებელია შემდეგი გარემოებები: ეს არის აგრესიული ხასიათის ქცევა, რომელსაც განმეორებადი ხასიათი აქვს; მჩაგვრელს აქვს მეტი ძალაუფლება ვიდრე დაჩაგრულს (უფო ძლიერია ფიზიკურად, ან სტატუსით უფრო მაღლა დგას); მჩაგვრელის ქმედება არის წინასწარ განსაზღვრული, მჩაგვრელი არ იღებს პასუხისმგებლობას ჩადენილ საქციელზე და ხშირად აღნიშნავს, რომ მსხვერპლმა ,,დაიმსახურა". ასეთი მოპყრობა ხშირ შემთხვევაში ბავშვი, რომელიც

არის ჩაგვრის მსხვერპლი არ საუბრობს საკუთარ პრობლემებძე მშობლებთან, თუმცა შეიძლება არსებობდეს ნიშნები, რომლებიც მიუთითებს იმავე, რომ ჩაგრავენ და სჭირდება უფროსების მხრიდან მხარდაჭერა. ამ ნიშნების დროულად იდენტიფიცირებისათვის მშობელი ყურადღებით უნდა დააკვირდეს ხომ არ აქვს ადგილი ცვლილებებს შვილის ქცევებში.

განმეორებადმა, ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩაგვრამ ბავშვს შეიძლება მიაყენოს ძლიერი ემოციური ზიანი და უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს მის თვითშეფასებაზე. შედეგი შეიძლება ხანმოკლე დროში გამოვლინდეს ან გარკვეული დრო დაჭირდეს. ასევე ზემოქმედების ხარისხის განსაზღვრა შეუძლებელია, შეიძლება ერთ ადამიანზე ბულინგის გარკვეულმა სახემ უფრო ნაკლებად იმოქმედოს, მეორეზე კი ძალიან დიდი გავლენა მოახდინოს. თვითშეფასება კი რამდენად მნიშვნელოვანია პიროვნების შენების პროცესში, ყველასთვის ცხადი უნდა იყოს. ბულინგის/ჩაგვრის მაგალითები / 11 წლის ნიკა მე-5 კლასელია, ის ასაკი აქვს, როცა ღირსების გრძნობა და თავმოყვარეობა გააჩნია. ღირსებაშელახულს სხვა სკოლაში გადასვლა სურს. მიზეზი ასეთია: ,,ხუთი წლიდან სათვალეს ვატარებ, ახლომხედველი ვარ, ამხანაგები ადრე ბრუციანს მეძახდნენ, მე ვუთხარი მათ, რომ მწყინდა ასე მომართვა, მერე ერთმა მითხრა: კაი, ბრუცუანი თუ არ მოგწონს, შურიკას დაგიძახებთო, ამისთვის ბევრჯერ მიტირია. აღარ მინდოდა სათვალის გაკეთება, მაგრამ დედამ დამარწმუნა, რომ ეს ჯერ აუცილებელია. სკოლიდან მინდოდა გადასვლა, მაგრამ ორმა კლასელმა ბიჭმა გამამხნევა და მითხრა, რომ მათ ყურადღება ღარ მივაქციო. მე მაინც ძალიან მტკივა გული.“

ბულინგს ქმნიან ის ადამიანები,ვისთვისაც მისაღებია აგრესიაზე დაფუძნებული ურთიერთობა, ადამიანები, რომლებიც ამართლებენ რაღაცის მოპოვებას სხვისი ჩაგვრის ხარჯზე. პედაგოგი: ,, დაწყებით კლასებს ვასწავლი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩაგვრის შემთხვევები ამ ასაკის მოზარდებშიც ხშირია. მე-4 კლასელი გოგონა მყავდა, ჟღალი გრძელი თმით, სულ გრძელი ნაწნავით დადიოდა და ძალიან

უხდებოდა. ერთხელაც გაკვეთილზე შემოვიდა და ვერ ვიცანი, თმა ბიჭურად გაუკრეჭია, მომბეზრდაო- თქვა. არადა, თურმე, მეზობლის ბავშვები რიჟას ეძახდენენ და ატირებულს თმა თავისი ხელით შეუჭრია.“

ა) ბულინგის გამომწვევი ფაქტორები

რა შეიძლება იყოს წინაპირობა ბულინგის წარმოშობისა: ,, ფიზიკური დეფექტები, სოციალური სტატუსი, განსაკუთრებული რელიგიური მრწამსი, განსხვავებული შეხედულებები ხშირად მოზარდებში დამამცირებელი მოპყრობის, სიძულვილის ენით ურთიერთობის და ზოგჯერ ფიზიკური ძალადობის მიზეზიც კი ხდება. ყველაფერი ეს სათავეს მაინც არასწორი აღზრდიდან იღებს, რაშიც ოჯახში მოიაზრება, თუმცა, გარემო ფაქტორებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. გამოირკვა, რომ ბულინგის გახშირების ხელისშემწყობი ფაქტორი კომპიუტერული თამაშებიც არის. განსაკუთრებით პრობლემური ასაკი 10-დან 18 წლამდეა. არც თუ იშვიათად, ბავშვი, რომელიც თავადაა ძალადობის მსხვერპლი, იგივეს იმეორებს სხვა სივრცეში. ამიტომ ბულინგის პრევენციისთვის დასჯა გამოსავალი არ არის. საჭიროა ისეთი პოლიტიკა ოჯახებშიც და სკოლაშიც, რომელიც კონფლიქტს არაძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის.“ ზოგჯერ თავად მშობელს ჰგონია, რომ ბულინგი სასკოლო ოინია, არადა, პრაქტიკა აჩვენებს, რომ უმეტესობა, ვინც მოზარდობაში ჩაგვრა განიცადა,შემდეგში თავადაც კრიმინალურ გზას ირჩევს, რადგანაც მასში დალექილი აგრესია უკვალოდ არ ქრება. ,,ბულინგი“- ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ძალადობა, ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან, მეორე ინდივიდზე. ბულინგი სოციალური მოვლენაა და დამახასიათებელია ძირითადად ორგანიზებული ბავშვთა კოლექტივისათვის, პირველ რიგში კი ეს არის სკოლა. შესაბამისად, ხშირად ტერმინ ბულინგს სასკოლო ძალადობის სინონიმადაც იყენებენ. ბულინგი ვლინდება ფიზიკური და ფსიქოლოგიური აგვრის სხვადასხვა ფორმით. ეს შეიძლება იყოს სისტემატიური დაცვა (მსხვერპლის გარეგნობის ან პიროვნების მახასიათებლების), მსხვერპლის

ნივთების დაზიანება, ფულია ან პირადი ნივთების გამძალვა, მასხრად აგდება, დამცირება. ბულინგთან დაკავშირებით, ფსიქოთერაპევტი სალომე საბინაშვილი საუბრობს, რომ ის ვინც ბულინგს მიმართავს, მიზნად მსხვერპლის დაშინებასა და დამორჩილებას ისახავს. ,,ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ბავშვი. მაგრამ განსაკუთრებით მოწყვლადი თანატოლებისგან ფიზიკური თუ ფსიქიკური ნიშანთვისებებით განსხვავებული ბავშვბი არიან (ფიზიკური ნაკლის, თავისებური ქცევის, სხვა ეროვნების და ა.შ ბავშვები).

საკითხში უკეთ გასარკვევად დავახასიათოთ, როგორც მოძალადე, ასევე მსხვარპლი ბავშვი.

მოძალადის ტიპიური მახასიათებლები:

- აქვთ სხვებზე ბატონობის მოთხოვნა.
- არიან იმპულსურები და ადვილად ბრაზდებიან.
- ხშირად აგრესიულად და გამომწვევად იქცევიან უფროსების მიმართ.
- მსხვერპლის მიმართ არ განიცდიან თანაგრზნობას.
- თუ მოზალადე ბიჭია, მაშინ ის ფიზიკურად ძლიერია.

ბულინგის მსხვერპლი ბავშვის ტიპიური მახასიათებლები:

- არიან მორიდებულები, ჩაკეტილები, მგრძნობიარენი.
- ახასიათებთ მაღალი შფოთვა.
- აქვთ დაბალი თვით შეფასება.
- მიდრეკილნი არიან დეპრესიისადმი და თავის თანატოლებთან შედარებით ხშირად ფიქრობენ თვითმკვლელობაზე.
- არ ჰყავთ ახლო მეგობარი. უკეთ ურთიერთობენ უფროსებთან, ვიდრე თავის თანატოლებთან.
- თუ ბიჭია, მაშინ ის თავის თანატოლებთან შედარებით, ფიზიკურად სუსტია.“

როგორ მივხვდეთ რომ თქვენი შვილი ბულინგის მსხვერპლია?

დააკვირდით შემდეგ ნიშნებს: ბულინგის მსხვერპლი ბავშვისითვის დამახასიათებელია გარკვეული ქცევითი და ემოციური მახასიათებლები.

ქცევითი მახასიათებლები:

- უფროსებისა და თანატოლებისსაგან დისტანცირება.
- ნეგატივიზმი ბულინგის თემის განხილვისას.
- აგრესიულობა.
- ემოციური მახასიათებლები.
- დაძაბიულობა და შიში თანატოლების დანახვისას.
- გაღიზიანებადობა და ფხუკიანობა.
- დარდი, წუხილი, გუნება-განწყობილების ხშირი ცვლილება.

როგორ გავუმკლავდეთ ბულინგს?

,, პირველ რიგში, თვალი არ უნდა დახუჭოთ პრობლემაზე. მასწავლებელმა (მთლიანდ სკოლამ) პირველმა უნდა აღიაროს აღნიშნული პრობლემის არსებობა. სასურველია სკოლის თანამშრომლებს შეუერთდნენ ბავშვებიც და მშობლებიც. აუცილებელია ჩაერთოს პროფესიონალი ეს იქნება სკოლის ფსიქოლოგი თუ მოწვეული სპეციალისტი), რომელიც დაეხმარება სკოლას, ბულინგში მონაწილე ბავშვებს, მათ ოჯახებს პრობლემის აღმოფხვრაში. დახმარება მხოლოდ მსხვერპლ ბავშვს არ სჭირდება. დახმარება ასევე ძალიან სჭირდება მოძალადე ბავშვს! რადგან ხშირად, თვითონ ასევე ბავშვია ძალადობის მსხვერპლი, მაგრამ არა სკოლაში, არამედ სახლში.“ ფსიქოლოგი ამბობს, რომ აუცილებელია ამ პრობლემის ყველა მხრიდან შეფასება. მისი თქმით, უნდა შემუშავდეს გეგმა, რომლის მიხედვითაც პრობლემა ეტაპობრივად მოგვარდება.

,,მშობლებო, მაქსიმალურად მხარი დაუჭირეთ შვილებს, არ გამოკეტოთ, არავის შეადაროთ, არ შეარცხვინოთ, არ დატუქსოთ. დაარწმუნეთ, რომ მათი ბრალი არ არის რაც ხდება. გაუზიარეთ თქვენი გამოცდილება, იყავით გახსნილნი და მომთმენნი და რაც მთავარია არასოდეს დაკარგოთ თქვენი შვილის რწმენა. ყველა ბავშვია რესურსი გაუმკლავდეს პრობლემებს და თქვენზეა დამოკიდებული ის მას როგორ შეძლებს.“

2020/11 სექტემბერი

სკოლაში ბულინგი იმ პრობლემათა რიგს განეკუთვნება, რომელზეც ხმამაღლა იშვიათად საუბრობენ. ხშირად უფროსი ასაკის ადამიანები მას სხვა სახელს, ბავშვურ ცელქობას არქმევს. რეალურად, ბულინგი სერიოზული საკითხია და იგი ბავშვების ფსიქო-ემოციურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. რა მოტივები იმალება ბულინგის უკან? ვინ არიან მოძალადეები? რა პრინციპით ირჩევენ მსხვერპლს? რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ, რომ სკოლაში ბულინგი კვლავ დაფარულ პრობლემად აღარ დარჩეს?

არსებობს პირდაპირი და ფარული ბულინგი/

- **პირდაპირი ბულინგი:** ბავშვს ღიად აყენებენ შეურაცხყოფას, დასცინიან, ურტყამენ და ა.შ.
- **ფარული ბულინგი:** აგრესია ღიად არ არის გამოხატული, მაგრამ ბავშვს პასუხობს არავინ არ სცემს, არ ელოდებიან, თამაში ჩართვის უფლებას არ აძლევენ და ა.შ.

ეს ყოველივე ერთჯერადი აქტი არაა და იგი დროის გარკვეულ პერიოდში მეორდება. ბულინგი ხშირად უფროსთა თვალისთვის შეუმჩნეველი რჩება ან არ ხდება მისი სწორი სახელდება. ამის გამო ვერ ხერხდება მისი დროული ამოცნობა და შესაბამისად, შემდგომი მართვა. ხშირად მშობლები და მასწავლებლები ბულინგს სერიოზულად არ ღიქვამენ და მას ბავშვურ ჩხუბს

ან ცელქობას არქმევენ. ამგვარად ისინი აფიქსირებენ პოზიციას: ,, ბავშვები თავინთ საქემს თვითონვე მოაგვარებენ“/ რა თქმა უნდა, ზოგჯერ ასეც ხდება, თუმცა, არის სიტუაციები, როდესაც ბულინგი სახეზეა და მისი უგულებელყოფა არ შეიძელება. თუკი უფროსებს ბულინგზე უფრო მეტი ინფორმაცია ექნებათ და პრობლემის არსებობას აღიარებენ, მაშინ მის დროულ ღმოჩენასა თუ მოგვარებასც შეძლებენ.

- **რატომ ჩაგვრავენ ბავშვები ერთმანეთს და ვინ შეიძლება აღმოჩნდეს მსხვერპლი?**

ბულინგს რაღაც სერიოზული მიზეზი არ სჭირდება და მისი მსხვერპლი შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი ბავშვი, რომელიც სხვებისგან განსხვავებულია. რისკ-ჯგუფში შეიძლება შედიოდნენ ინდივიდები, რომელთაც უჭირთ კომუნიკაცია და სოციალური უნარები ნაკლებად აქვთ განვითარებული. ბულერების/მჩაგვრელებისშემთხვევაში ქცევას საფუძვლად ბევრი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: ისინი შეიძლებბა თავად იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი სხვა გარემოში (ოჯახში, ეზოში და ა.შ). ბავშვს, რომელსაც ამცირებენ ან აშინებენ, თავისი დათრგუნული ემოციები ზოგჯერ თანატოლებზე გადმოაქვთ. ჩაგვრის მიზეზი ასევე შეიძლება იყოს ოჯახში ემოციური კავშირის და სითბოს ნაკლებობა ან უბრალოდ სახეზე გვქონდეს სხვებისგან გადმოტანილი ქცევა, ‘’გართობა“, დაბალი თვითშეფასება და ამ ქცევებით მისი გადაფარვის მცდელობა, ყურადღების მიქცევა და ა.შ.

ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ დახმარება როგორც ბულინგის მსხვერპლს, ასევე ბულინგის გამტარებელსაც სჭირება.

აქვე მინდა ხაზი გავუსვა, რომ **უფროსები გარდა იმისა რომ ბულინგის მიმართ ზოგჯერ გულგრილები არიან, ხშირად მის პროვოცირებას თავად ახდენენ.** მაგ: მასწავლებელი, რომელიც ბავშვს კლასის წინაშე ამცირებს,

არქმევს მას ზედმეტსახელს და ა.შ. მშობელი, რომელიც ხედავს, რომ მისი შვილი სხვას ჩაგრავს და ამას ბავშვურ ცელქობას ეძახის. ანდა პირიქით:სერიოზულად არ აღიქვამს შვილის მონათხრობ პრობლემას, მის დათრგუნულ მდგომარეობას და რეალურად დახმარების ნაცვლად მას თავად არცხვენს: ,, შენ რა, თავს ვერ იცავ?'', ,,მშიშარა ხარ?, ,, სხვებს თუ არ დასცინიან, შენ რა თქმა უნდა, ბავშვი თავისი პრობლემების შესახებ აღარ საუბრობს და ეტაპობრივად სიტყვაციაც უფრო და უფრო მძიმდება. არის შემთხვევებიც, როდესაც მშობლები შვილების ძალადობისკენ თვითონვე უბიძგებენ, რაც ზოგადად ძალადობის ნორმალიზებას იწვევს და ხშირად სწორედ ეს ხდება ბულინგის მიზეზი.

როგორ უნდა ამოიცნოს მშობელმა, რომ მისი შვილი ბულინგის მსხვერპლია?

რაც უფრო მეტად აქვს ბავშვს მშობლების ნდობა და მათთვის ემოციური კავშირი, მით უფრო ადვილია მშობლისთვის იმის შერჩევა, ბავშვი მსხვერპლია თუ მჩაგვრელი. ბულინგის მსხვერპლ ბავშვებს ხშირად აღარ უნდათ სკოლაში სიარული, რის გამოც იგონებენ სხვადასხვა მიზეზებს, აღარ იჩენენ ინიციატივას, არიან დათრგუნულები, გაღიზიანებულები, დაქვეითებული აქვთ მოტივაცია, განიცდიან მეგობრების ნაკლებობას, უარესდება მათი აკადემიური მოსწრება, გაურბიან სკოლაზე საუბარს. ასეთ დროს ბავშვებს ყველაზე მეტად მშობლების მხარდაჭერა და მათი გვერდითდგომა სჭირდებათ.

ბ) ბულინგის სტატისტიკა საქართველოში

ბულინგის ოფიციალური სტატისტიკა საქართველოში არ არსებობს.ეს ნაწილობრივ დაკავშირებულია თავად ბულინგის იდენტიფიცირების სირთულესთან სკოლაში. ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებლები ან მშობლები სიტყვიერი, ფიზიკური აგრესიის შემცველ ქცევას ბავშვურ სიცელქედ მიიჩნევენ და ამაზე ყურადღებას არ ამახვილებენ. გარდა ამისა,

მჩაგვრელი ბავშვი იშვიათად ახორციელებს მსგავს ქცევას უფროსის თანდასწრებით. იცის რა, რომ შეიძელება დაისაჯოს, მსხვერპლს დასაჩაგრად ირჩევს საკლასო ოთახს - შესვენებაზე, ან ცარიელ დერეფანს- გაკვეთილების მსვლელობისას. განათლების ნაციონალური ცენტრის 2016 წლის მონაცემების მიხედვით, ყოველი 5 ბავშვიდან 1 ბულინგის მსხვერპლია. 2014 წელს გაკეთებული 80 კვლევის მეტა-ანალიზის მიხედვით, 12-18 წლის მოზარდების 35% განიცდის ტრადიციულ ბულინგს (ფიზიკური, სიტყვიერი აგრესია), ხოლო 15%- კიბერ-ბულინგს. 2010 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით კი, ბულინგის მსხვერპლი ბავშვებიდან 64% არ საუბრობს ამაზე. 2010 წლის კვლევის მიხედვით, ჩაგვრის მიზზი ყველაზე ხშირად ხდება ხოლმე ბავშვის გარეგნობა (55%); სხეულის ფორმა (37%) და ეროვნება (16%). ადამიანის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესი, პირველ რიგში, სოციალიზაციას გულისხმობს. სოციალური გამოცდილების შეძენით, სხვა ადამიანებთან ურთიერთობების დამყარებით საკუთარი პოზიციის გამოხატვით, სხვებთან დაპირისპირებით, დამოუკიდებლობის გამოვლენით, საკუთარი თავის ,, შემოწმებით“, შემდგომი საქმიანობის პერსპექტივების დასახვით ბავშვი ზდასრულ პიროვნებად ყალიბდება. ბავშვებიდან მოზარდობაში გადასვლის პროცესი, როგორც წესი, მძაფრად და ზოგჯერ დრამატულადაც მიმდინარეობს. მასში სოციალური განვითარების ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებია გადახლართული. ერთი მხრივ, ამ რთული პერიოდისათვის დამახასიათებელია ნეგატიური გამოვლინებები, - პიროვნების დისჰარმონია, უკვე ჩამოყალიბებული ინტერესების შეცვლა, მოზრდილებთან მიმართებაში პროტესტის გამომხატველი ქცევა და სხვა. მეორე მხრივ, აღსანიშნავია უამრავი დადებითი ფაქტორი - მზარდი დამოუკიდებლობა, ურთიერთობათა მრავალფეროვნება, საქმიანობის სფეროსშეცვლა და გაფართოება, საკუთარი თავოისა და სხვების მიმართ პასუხისმგებლობის განვითარება და სხვა. ადამიანის მშვიდი, უცვლელად

ჰარმონიული, ,,გაყინული“, გარემოსთან მუდმივად შეგუებული არსებობა, პრინციპში, შეუძლებელია. ადამიანი დინამიურ წონასწორობაშია გარემომცველ სამყაროსთან, რაც მასში მუდმივი ადაპტაციის აუცილებლობას ქმნის. თუ ეს პროცესი წარმატებით მიმდინარეობს, დროის მოცემულ კონკრეტულ მონაკვეთში ადამიანი ჯანმრთელად ითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, დეზაპტაციის სხვადასხვა ფორმები სომატური და ფსიქიკური ხასიათის დაავადებებს აგრეთვე სოციალურ გადახრებს იწვევს. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს დევიავური ქცევა, მიმართული სიხარულის, სიამოვნების ნებისმიერი გზით მიღებაზე (ნარკოტიკებით, ალკოჰოლით და სხვა), სასურველის ნებისმიერი გზით მოპოვებაზე (წართმევა, მოპარვა და სხვა), ნებისმიერი გზით თვითდამკვიდრებაზე (სხვათა დევნა, დამცირება, ძალადობა და სხვა). მოზარდის განვითარების სწორედ ეს პერიოდია მთელი მისი შემდგომი ცხოვრების განმსაზღვრელი. მოზარდის ხასიათი გარკვეული მიკროსოციალური პირობების გავლენით ყალიბდება. თუ საით მიმართავს მოზარდთა თავის პოტენციალს, დამოკიდებულია გარემოცვაზე, მისთვის მნიშვნელოვან ადამიანებთან ურთიერთობაზე. რა უბიძგებს მოზარდს ძალადობის, დანაშაულის გზით წასვლისაკენ? ამ შეკითხვებზე ერთმნიშვნელიანი პასუხი არ არსებობს. მიზეზი მრავალია . მათ შორისაა სოციალური დიფერენციაცია, სიღარიბე, უმუშევრობა, მასობრივი კულტურა (მასმედია) თავისი ,,,ხატვრული“ თუ რეალური ძალადობითა და სისასტიკით, დაბალი განათლება, სასკოლო აღზრდის დეფექტები და სხვა. ამასთან, მნიშვნელობა აქვს მოზრდილად ქცევის ფსიქოსოციალური სიძნელეებს (სქესობრივი მომწიფების პერიოდში მომატებული შფოთვა, გუნება-განწყობილების მკვეთრი ცვალებადობა, ფსიქიკის გაუწონასწორებლობა და ა.შ.).

მოზარდთა ქცევაში, რომლებსაც ,,ძნელ“ მოზარდებად“ თვლიან, ხშირად აღინიშნება თვითდამკვიდრებისაკენ სწრაფვა მასზე სუსტი თანატოლების ან

თუნდაც მოზრდილების ხარჯზე, მათი დაშინების, ძალადობის, იარაღის გამოყენების გზით. ზოგიერთი მოზარდის შემთხვევაში გარემომცველთა დაშინება, შევიწროება, დატერორება ჩვეულებრივ კონკრეტული, ხშირად ღრმად ეგოისტური მიზნების მიღწევასთან არის დაკავშირებული. ასეთ მოზარდებს გააჩნიათ მოთხოვნილებები (მაგალითად, სოციალური აღიარების, დომინირების, მატერიალური, სექსუალური, კომუნილაციური და ა.შ.), რომელთა დაკმაყოფილება მათთვის მისაწვდომი საშუალებებით არ შეუძლიათ. ხშირად მშობელს ავიწყდება, რომ მისი შვილი გაიზარდა და მეგობრული რჩევა, ურთიერთდახმარება უფრო ესაჭიროება, ვიდრე კრიტიკული შენიშნვები და ლანძღვა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფსიქომატრავმირებელი გამოთქმები მარტო მშობლებისგან კი არა, არამედ მოზარდის გარემომცველი მასწავლებელებისგან, ექიმებისგან, მწვრთნელებისგან, ქორეოგრაფებისგან და სხვა უფროსებისგანაც მოდის. გამოსავალი ამ სიტუაციიდან მისთვის იქნება სოციალური ნორმებისა და ქცევის წესების მიუღებლობა. გულახდილი საუბრით, შესაბამისი „ანტიაგრესიული ტრენინგებით“ მოზარდებმა უნდა ისწავლონ რელაქსაცია, კონფლიქტების მშვიდობიანი გზებით გადაჭრა, საკუთარი აგრესიული იმპულსების მართვა, შიშის, შფოთვის მოხსნა, აითვისონ სხვადასხვა სიტუაციებში ადექვატური ქცევის უნარები. აქ იგულისხმება მუშაობა არა მხოლოდ აგრესორ ან ძალადობის მსხვერპლ მოზარდებთან, არამედ მათთან მეტად თუ ნაკლებად შეხებაში მყოფ ბავშვებთანაც.

მუშაობის მესამე ბლოკი აუცილებლად უნდა იყოს მიმართული მშობლებისკენ. ისინი უნდა გაერკვნენ შექმნილი პრობლემური სიტუაციის მიზეზებში. საჭიროების შემთხვევაში მუშაობა უნდა წარიმართოს საკუთარი შვილების მიმართ დამოკიდებულების შეცვლისაკენ. სწავლების სპეციალური პროგრამებით უნდა მოხდეს მშობლების კომპეტენციის გაუმჯობესება ბავშვის აღზრდის სფეროში.

გ)ბულინგის საფრთხეები და ზიანი

პირველ რიგში უნდა მოხდეს პრობლემის აღიარება და მისი სახელდება, ხოლო ამის შემდეგ - რეაგირება. **ნებისმიერი უფროსი, რომელიც ბულინგის შემსწრეა და მასზე არ რეაგირებს, ზუსტად ისეთივე დამნაშავეა, როგორც მჩაგვრელი.** აუცილებელია, რომ ეს პასუხისმგებლობა თითოეულმა ჩვენგანმა კარგად გავაცნობიეროთ, რათა ეს ქცევა აღარ იყოს ნორმალიზებული არც ჩვენთვის და არც ბავშვებისთვის.

აუცილებელია, რომ მშობლებში, მასწავლებლებსა და ზოგადად სოციუმში წახალისებულ იქნეს პოზიტიური ურთიერთობის მოდელი და არა ძალადობრივი კომუნიკაცია. რა თქმა უნდა, ამის მისაბაძი მაგალითები პირველ რიგში თავადვე უნდა ვიყოთ. ჩვენ უნდა შევთავაზოთ და ვასწავლოთ ბავშვებს ის ყველაფერი, რასაც მათგან ვითხოვთ.

სამუშაოს მხოლოდ უარყოფითი ემოციები მოაქვს

შესაძლოა ვერ ხვდებით, რომ თქვენს სამსახურში ბულინგი მძვინვარებს. ექსპერტების თქმით, თუ სამუშაო კვირის დასაწყისში გულისრევის შეგრძნება და მო-მეტებული შფოთვა გეწყებათ, დიდი შანსია, რომ ეს სამსახურებრივი ზეწოლის შედე-გი იყოს. ორშაბათი ყველასთვის მძიმე დღეა, მაგრამ სამსახური ჯამნრთელობის პრობლემებს არ უნდა გიქმნიდეთ.

მუდმივად გაკრიტიკებენ

თუ კრიტიკამ მუდმივი ხასიათი მიიღო და თვლით, რომ ეს არაფრით დაგიმსახურე-ბიათ, შესაძლოა ამაში ვინმე არაკეთილმოსურნეს ხელი ერიოს. ის ცდილობს ყველა თქვენს წინააღმდეგ განაწყოს. აზრი არა აქვს მიზეზის ძებნას თუ რატომ აგირჩიათ მსვერპლად. ექსპერტები ამბობენ, რომ ბულისნგის ოსტატებს ქცევის საკუთარი სტან-დარტები აქვთ.

თუ ხშირად გიყვირიან

ოფისის მთავარ "დამტერორებელს" ურთიერთობების გარკვევა და ემოციების ყვირილით გამოხატვა უყვარს. თუ ხშირად გიყვირიან და შეურაცხყოფას გაყენებენ, ეს აშკარა ბულინგია.

შეცდომებს არ გპატიობენ

თუ ხელმძღვანელი და კოლეგები მუდმივად მიგითითებენ შეცდომებზე და კონკრეტული მიზეზების გარეშე ხშირად გახსენებენ მათ, ეს სამსახურებრივი ზეწოლაა. დაუმსახურებელი ბრალდებები ბულინგის კიდევ ერთი პოპულარული ტაქტიკაა.

თქვენ ჭორიკნები გახვევიათ გარს

არაკეთილმოსურნენი ხშირად ჭორების მეთოდს იყენებენ, ანუ თქვენსა და თქვენს კოლეგებზე ბოროტ ხმებს ავრცელებენ. როცა ამ ჭორების გადამოწმებას არავინ ცდილობს, ეს უკვე ბულინგია.

ცდილობენ გაგრიყონ

თუ ამჩნევთ, რომ კოლეგები და ხელმძღვანელები გაგირბიან ან თქვენს გარიყვას ცდილობენ, ბულინგის მსხვერპლი ხართ. ეს შეიძლება უბრალო წვრილმანებში იყოს გამოხატული, მაგალითად გთხოვენ, რომ ნაკლებად მოხერხებულ მაგიდასთან გადაჯდეთ ან ერთობლივ სადილზე არ გეძახიან.

თქვენს წარმატებებს სხვებს მიაწერენ

რამდენიმე კვირა თავდაუზოგავად იშრომეთ, დღე და ღამეს ასწორებდით, რომ პროექტი წარმატებული გამოსულიყო. მიზანს მიაღწიეთ და მთელი ოფისი ამაზე ლაპარაკობს. უფროსმა და კოლეგებმა კი თქვენი დამსახურებები მიითვისეს და განზე დაგტოვეს. ესეც ბულინგის ფორმაა.

თავიIII კიბერბულინგი

კიბერბულინგი ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით, ფარული ან აშკარა დაშინების მიზნით განხორციელებული ქმედებაა. "კიბერბულინგში" მოიაზრება: სოციალურ ქსელებში შეურაცხმყოფელი ფოტოების ან ვიდეოს განთავსება, უხამსი ჭორების გავრცელება, მავნე მოკლეტექსტური შეტყობინებების გაგზავნა, სხვათა სახელით გვერდებისა და სოციალურ ქსელებში ანგარიშების შექმნა. კიბერ-ბულინგი პირადი ცხოვრების კადრების გასაჯაროება და ამით შანტაჟი, ვირტუალურ სივრცეში

დატერორება, ასეთი ტიპის ჩაგვრა გულისხმობს თანატოლის არასასურველი ფოტოების გამოქვეყნებას, დამცინავი და შეურაცხმყოფელი კომენტარების გაკეთებას. მისი განვითარება სოციალური ქსელების/ინტერნეტსივრცის აქტიურ გამოყენებას მოჰყვა შედეგად. ასევე დღითიდღე უფრო ფართოდ ვრცელდება სოციალურ ქსელებში სპეციალური გვერდების შექმნის პრაქტიკა, სადაც გამიზნულად აბუჩად იგდებენ ადამიანებს მათი გარეგნობის, შემოქმედების, რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობის გამო. მეთოდები, რომელთაც ბავშვები და მოზრდილები კიბერბულინგისათვის იყენებენ, ისეთივე განსხვავებული და მრავალფეროვანია, როგორც მათთვის ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები. ტრადიციული ბულინგის მსგავსად, კიბერბულინგში ბიჭიც და გოგოებიც თანაბრად მონაწილეობენ, მაგრამ ზოგადად განსხვავებულ ხერხებს იყენებენ. ბიჭები მეტწილად სექსუალური ხასიათის ან ფიზიკური ზიანის მუქარის მესიჯებს აგზავნიან. გოგოები კი ძირითადად ავრცელებენ ჭორებს და მცდარ ინფორმაციას მსხვერპლის შესახებ, ამჟღავნებენ საიდუმლოს, მსხვერპლს რიცხავენ გარკვეული წრიდან ან ელექტრონული კომუნიკაციის ჯგუფიდან.

ამერიკის შეერთებული შტატების განათლების მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, აშშ-ს ქალაქებში არსებულ სკოლებში კიბერბულინგის მაჩვენებელი, ბოლო 2 წლის განმავლობაში, თითქმის სამჯერ გაიზარდა. მოზარდები ერთმანეთს, ყველაზე მეტად, რასის, სქესის და სექსუალური ორიენტაციის გამო ამცირებენ. სოციალურ ქსელ ფეისბუკში გახსნილია ერთი გვერდი, რომლის მთავარი პერსონაჟი ერთი პატარა ბიჭია, რომელსაც არც ხელები აქვს, არც ფეხები და, საერთოდაც, ძალია

ნ მახინჯია. ამ ბიჭს ყველა უბედურება ემართება, რაც კი ადამიანს შეიძლება დაემარ თოს და, რაც მთავარია, მას სულ დასცინიან. დასცინიან იმიტომ, რომ შიდსი აქვს, იმი ტომ, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა, იმიტომ, რომ კიბო აქვს და ა.შ.

კიბერბულინგი, ტრადიციული ბულინგის მსგავსად, აგრესიას, ძალადობას და ჩაგვრის გავრცელებას უწყობს ხელს. მას, განსხვავებით ტრადიციული ბულინგისგან, ფსიქოლოგიური ძალადობის კიდევ უფრო მეტი გამოხატვის საშუალება აქვს. აქ მაღალია ანონიმურობა, ანუ უფრო მეტი საშუალება გაქვს გამოხატო ის, რასაც პირისპირ არ გამოხატავ, ხელი იოლად მიგიწვდება ყველა იმაზე, ვისზეც გინდა გაავრცელო აგრესია. დამამცირებელი მოპყრობა შესაძლოა გახდეს მთელი სამეგობრო ჯგუფისთვის დასანახი. კიბერბულინგი მოზარდის მიერ მძაფრად აღიქმება და, შესაბამისად, ემოციური ზიანი მაღალია.

თავი IV

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩართულობა პრევენციაში

ვერტიკალური დონე სწავლების უზრუნველყოფის პროცესში თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულნი უნდა იყვნენ შემდეგი სახელმწიფო სტრუქტურები: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. ამ ინსტიტუციებმა სათანადოდ უნდა განახორციელონ სამოქალაქო განათლების პოპულარიზაცია. ფორმალური განათლების კუთხით, სამოქალაქო განათლების როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 33 საგნის პროგრამების შემუშავებისას და სწავლებისას წამყვანი როლი ეკისრება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სამოქალაქო განათლებას თავისი წვლილი შეაქვს სახელმწიფოს ახალგაზრდული პოლიტიკის ფორმირებაში. ამ პოლიტიკის მეშვეობით, ახალგაზრდებში, პირველ რიგში, უნდა გაჩნდეს იმის განცდა და

რეალური საფუძველი, რომ მათ გულისყურით უსმენენ მათთვის აქტუალურ და მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. მათი აზრი გასათვალისწინებელია სავალდებულო წესით და არ არის დამოკიდებული მხოლოდ რომელიმე პოლიტიკოსის თუ თანამდებობის პირის კეთილ ნებაზე. მათი პოზიციის სერიოზულად აღქმა წარმოადგენს წინაპირობას მომავალი მოქალაქეების შეგნების სწორად ჩამოყალიბებისთვის. ჰორიზონტალური დონე სამოქალაქო განათლების პროცესი ვერ იქნება ბოლომდე ინსტიტუციონალიზებული, თუ ამგვარი სწავლების პროცესში მონაწილეობას არ მიიღებენ საგანმანათლებლო დაწესებულებები და მეცნიერები, თავად ახალგაზრდები და ახალგაზრდული ორგანიზაციები, ასევე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, მედიასაშუალებები. სწორედ ამ ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ პრაქტიკული მაგალითებით სწავლების პროცესის გამდიდრება, რაც საბოლოოდ სწავლების შედეგების რეალურ ცხოვრებაში განხორციელებას უზრუნველყოფს. მნიშვნელოვანია სწავლების კურსის მიმწოდებელთა შესაბამისი პედაგოგიური უნარებით აღჭურვა და კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლება. მიზანშეწონილია, მედიის ექსპერტების მონაწილეობის უზრუნველყოფა და მედიის როლის გააზრება სამოქალაქო განათლების წარმართვის კუთხით. მისასალმებელია და სახელმწიფო მხარდაჭერას საჭიროებს შესაბამისი თემატური სატელევიზიო და რადიოპროგრამების (მაგალითად, ახალგაზრდული პროგრამების) შექმნა და ამ მიმართულებით იდეების და პროექტების კონკურენციის წახალისება.

ბ) საქართველოს სახალხო დამცველის სამედიატორო ფუნქცია

საქართველოს სახალხო დამცველი მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის სამედიატორო ფუნქცია. ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, სახალხო დამცველთან შექმნილია

თანასწორობის დეპარტამენტი, რომელიც შეისწავლის დისკრიმინაციის შემთხვევებს და აწარმოებს, მათ შორის, სავარუდო მსხვერპლსა და დისკრიმინაციის სავარაუდოდ განმახორციელებელ პირს შორის მორიგებას. არსებული სამსახური განიხილავს რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე სავარაუდო დისკრიმინაციის შემთხვევებს და რელიგიურ და ეთნიკურ უმცირესობებს შორის დიალოგის განვითარებისა და ხელშეწყობის პირობებს ქმნის. აუცილებელია აღინიშნოს იმ სტრუქტურული ერთეულების როლი, რომლებიც წარმატებულად არიან ჩართულნი ძალადობის აღკვეთა/პრევენციის სფეროში – ბავშვის უფლებების ცენტრი, გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის აპარატის აღნიშნული კომპეტენციების პრაქტიკაში შემდგომი ეფექტიანი გატარება. მედიაციის განვითარების კუთხით განსახორციელებელი ღონისძიებები აუცილებელია სახელმწიფოს გააჩნდეს ერთიანი მიდგომა და კონცეფცია მედიაციის სისტემისა და ამ გზით ქვეყანაში ძალადობის პრევენციის თაობაზე. ამ ერთიანი მიდგომის ფარგლებში, უნდა გაიმიჯნოს და დაზუსტდეს ყოველი კონკრეტული უწყების კომპეტენცია და სამოქმედო არეალი, რათა არ მოხდეს ფუნქციათა დუბლირება და სახელმწიფო რესურსების არასათანადო ხარჯვა. გათვალისწინებული უნდა იყოს არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო პარტნიორების აქტიური ჩართულობა და მონაწილეობა; მედიაციის უპირატესობებით სარგებლობისთვის აუცილებელია საკანონმდებლო დონეზე არსებული ხარვეზების გამოსწორება და მათი შესაბამისობაში მოყვანა საერთაშორისო სტანდარტებთან. კერძოდ: მედიატორის საქმიანობის სტანდარტის შემუშავება/დახვეწა, მედიატორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენა, მედიატორის ეთიკის კოდექსის შემუშავება; მედიაციის ინსტიტუტის გავრცელება მთელი ქვეყნის მასშტაბით; მედიაციის ფორმების დახვეწა და პრაქტიკაში დანერგვა; მედიაციის გამოყენების სფეროების გაფართოება; რესურსცენტრის შექმნა მედიატორებისა და მედიაციით დაინტერესებული პირებისთვის; აღსანიშნავია, ასევე, კონფიდენციალურობის საკითხი. კონფიდენციალურობა დავის

ალტერნატიული გადაწყვეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ასპექტია. მიზანშეწონილია ქართულმა კანონმდებლობამ გაითვალისწინოს ის მიდგომები, რაც ასახულია საერთაშორისო პრაქტიკასა და ევროკავშირის დირექტივაში. კერძოდ, მედიაციაში მონაწილე მხარეებს, მედიატორებს, ასევე პირებს, რომლებისთვისაც მედიაციის პროცესში ცნობილი გახდა ესა თუ ის ინფორმაცია ან/და გარემოება, უფლება არ უნდა ჰქონდეთ გაამჟღავნონ ან ჩვენება მისცენ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოში, არბიტრაჟზე, ნებისმიერი სხვა სახის წარმოებასა და გარემოებაში. თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ჯანმრთელობას, აუცილებელია, კანონმდებლობით განისაზღვროს მედიატორის ან/და მედიაციის პროცესის მხარის უფლება მედიაციის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნებაზე; აღნიშნული მნიშვნელოვანია, მაგალითად, ბავშვთა და ქალთა ძალადობის ფაქტების გამოვლენის მიზნით. მედიაციის ინსტიტუტის მარეგულირებელი კანონმდებლობა საჭიროებს შემდგომ დაახლოებას საერთაშორისო აქტებთან ოჯახში ძალადობის კუთხით. კერძოდ, მხედველობაშია მისაღები ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროსაბჭოს კონვენცია. კონვენციის თანახმად, მხარეებს ეკრძალებათ სავალდებულო წესით დავების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების (მათ შორის, მედიაცია და შერიგება) გამოყენება, თუ დავა დაკავშირებულია ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასთან. შესაბამისად, თუ მხარეებს შორის არსებული ურთიერთობა საფრთხეს უქმნის ერთ-ერთი მეუღლის უსაფრთხოებას, ამ შემთხვევაში მედიაციის პროცედურა სავალდებულო ხასიათს არ უნდა ატარებდეს.

დასკვნა

ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ სამაგისტრო ნაშრომის ფორმატში შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, რომლებიც ჩვენი სუბიექტური აზრით მეტად

მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საზოგადოების უფრო მეტად ჩაბმაში მოზარდთა დაცვაში ძალადობის და ბულინგისაგან. ჩემი აზრით, სიღრმისეულ ასპექტში განვიხილეთ ის კრიტერიუმები, რაც გვაძლევს შესაძლებლობას გამოვიტანოთ საბოლოო დასკვნა იმაზე თუ სად ვუშვებთ შეცდომას და რა გზები არსებობს მის მოსაგვარებლად. თუკი ვიხელმძღვანელებთ იმ იდეოლოგიით რომ პრობრემა რეალურია და ეს პრობლემა ყველა ჩვენთაგანის პასუხისმგებლობაშია ვიმედოვნებ იქნება მეტი მზაობა ვიზრუნოთ მომავალი თაობის გარემო პირობების შექმნაზე, ვინაიდან ქვეყნის განვითარება დამოკიდებულია ჯანსაღად მოაზროვნე ახალბედებზე.

ვებ-საიტები:

1. https://mes.gov.ge/content.php?id=7156&lang=geo
2. http://mes.gov.ge/content.php?lang=geo&id=9671
3. https://www.unicef.org/georgia/media/2171/file/zaladoba-skolebshi-kvleva.pdf
4. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A5%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9B%E1%83%AC%E1%83%98%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%9B-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%96%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9E%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%94%E1%83%A1-/30347592.html

5. http://mes.gov.ge/
6. http://iod.ge/ge/news/news
7. https://gyla.ge/ge
8. https://matsne.gov.ge/document/view/1399901?publication=0
9. https://matsne.gov.ge/document/view/4613854?publication=1
10. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4806004?publication=0
11. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0
12. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4936402?publication=0
13. https://matsne.gov.ge/ka/document/view/4992004?publication=0
14. https://matsne.gov.ge/ka/documents/view/2198153?publication=0
15. http://intermedia.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90/63644-%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%A8%E1%83%98/19/
16. https://hera-youth.ge/%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%90/
17. http://mastsavlebeli.ge/?p=18141
18. https://police.ge/ge/projects/odjakhshi-dzaladoba
19. https://info.police.ge/page?id=330&parent_id=102
20. http://kiberbulingi.blogspot.com/p/blog-page.html
21. https://ge.itstep.org/blog/%E1%83%99%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-10-%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90
22. https://www.izrune.ge/?id=1130
23. https://journal.scsa.ge/ka/papers/621/
24. https://annrowling.wordpress.com/2017/06/05/%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/
25. http://liberali.ge/articles/view/46554/5-tsigni-bulingze-mozardebistvis